ზაზა აბზიანიძე

საბავშვო ლექსებისა
და მოთხრობების კრებული

ილუსტრაციები ავტორისა

სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

ბუსუნსულები 5

წითელკუდა 83

კოსტა-ბრავო 86

ამბავი დე ლა მელასი 88

ბაბთა 111

ბუხუნხუცოები

(ლექს-ნახატები ჩემი მეგობრებისა

და მათი შვილებისათვის)





ბაღში ცოცავს
ორი ჭია.
ერთი სქელი,
ერთიც – ია.
ეკითხება სქელო იას:
– რომ გამხდარხარ,
სულ არ გშია?
უპასუხა სქელოს იამ:
– რას არ ვიყრი მუცელშია,
მაგრამ იქ რომ მიზის ჭია,
იმას ემზე მეტად შია.

ქარს ქვეყანა მიაქვს,
ფეხი იღრძო ხოჭომ,
კიდევ ხუთი კი აქვს,
მაგრამ მაინც კოჭლობს.

ჭია უცქერს კალიას,
როგორც ანომალიას.

ზის ობობა, როგორც ბუდა,
გარშემო აქვს აბლაბუდა,
ბუზს უხუბრად გავლა უნდა,
მაგრამ საქმე მიდის ცუდად!
გაუნაღდა ობობამ
ბუზის ბავშვებს ობლობა...

ეს კი გახლავთ მწევარი
– ორი კურდღლის მდევარი,
ცოტა დაბნეული და
ცოტა დაუდევარი.
    იმ ორს კიდევ რა უშავს,
    – მესამეც რომ გაუშვა?!..

ძაღლებს ასულელებს ბატი:
– მამა მყავდა აკრობატი,
ხტოდა – ცაში გაქრობამდე,
ველოდებით აქობამდე!

ბატი ჰყვება:

– მდელოზე უკუვაგდე თავდასხმა,

დამჭრეს: ათი ნაკერი,

მერე – სისხლის გადასხმა.

ნიღბით იყვნენ, ვიცანი

მხოლოდ ორი მათგანი:

ერთი იყო ციცარი

და მეორე – ბატკანი!





ახლა ღორი ატლიკინდა:

– დედა მყავდა აფრიკიდან,

ტანად იყო ერთი ციდა,

მაგრამ სანახავად ღირდა!..

ენაგადმოგდებულ ძაღლებს

სუყველაფრის სჯერათ, შტერებს.

ეზოს უხუცესთა ნაკრებს,

მიდი და, ნუ დაუჯერებ!



მასლაათობს ორი ვირი,
გულწრფელი და პირდაპირი.
თქვა დიდყურამ:
– რომ იცოდე,
მე ისეთი ვირი ვარო,
გულში რამეს თუ გავივლებ,
იმავ წუთში ვყვირივარო.
მეორემ თქვა:
– შენზე უფრო გავაკვირვე სავირეთი,
რადგან სათქმელს ჯერ ვყვიროდი,
მერე გულში გავივლებდი.

არ ემდურის კატა ზამთარს,
გრიპი მაინც დაემართა.
მივავიეთ კატა ლოგინს,
ვართობთ „თაგვთა კატალოგით“.



წაკიდებულ თაგვებს
ვირთხა ურევს საქმეს:
– ეს ცხოვრება, ემო ძმაო,
ისე არის მოწყობილი,
სხვასაც უნდა შეაჭამო
მოპარული ორცხობილი.



კატა ზის და ისრესს თათებს:
– იმას ემი თაგვი მართებს!
ის კი, ვისაც თაგვი მართებს,
განზრახ იცვლის მისამართებს.
– ისემც კარგი დაგემართოს,
თაგვი არ მოგართვან, კატო!..

ტურას შეუყვარდა გოჭი,
რომანტიკული და ნორი.
გოჭის მშობლებს,
ანუ ღორებს,
მის სახელს ვერ გააგონებ:
– ვენი გოჭის სანახავად,
ღამით დადის სალახანა.
გაგვიელვა ეჭვმა, –
უნდა გოჭის შეჭმა!



ღორი ჰყვება:

– შემხვდა ტახი,

ახმახი და მაიმახი.

გამოვარდნილია ტყიდან.

„ – თქვენთან ასიძება მინდა!“

ხმა დაიტკბო, გაინაზა:

„ – დამიფრთხოო გრძნობამ ძილი!..“

ოჰ! ამ შავს და გაუპარსავს

„უყვარს“ ვენი ქალიშვილი.



დარბის ძაღლი ბუსუნსულა,

თავს სულ არ გრძნობს უსუსურად.

მისთვის დადგნენ სხვა დრონი:

1. გამოუნდა პატრონი;
2. ფიცრისგან ნაგები ბინა;
3. და დაქალი – პასკუალინა!



ეზოში მიდის ბასეტი,
პირში უჭირავს გაზეთი.
– თუ იცნობთ ისეთ ბასეტებს,
რომ კითხულობდნენ გაზეთებს?!
– ბაბუა მყავდა მასეთი...


ზღვისპირი

დაიბადა სპილო –

ას თხუთმეტი კილო.

დედამისი დარდობს:

– გამხდარი ხარ, შვილო!

„ვენ – პატარა თხუნელები
ნუ გგონივართ სულელები,
აბა, ნახეთ ზაზუნები –
სად არიან გასულები?!“

ზაზუნებმა ზოოპარკში
გამოთხარეს გვირაბი.
– რისთვის უნდათ?
– აპირებენ გააპარონ ჟირაფი!

სტაფილოს ჭამს პავიანი,
(აი – წითელგავიანი),
ჭამს და ამბობს დანანებით:
– მოგვენატრა ბანანები...



ძროხა წიწკნის გაზონს,
ლეოპარდი ბრაზობს:
– შეგჭამ ასო-ასო!..
ესმის ბრდღვინვა ძროხას,
ბალახს წიწკნის,
ოხრავს...

ლეოპარდი ტირის.
დედამისს კი უკვირს:
– რატომ ტირის, თუკი
აქვს ლამაზი ქურქი?
– შეინახეთ თქვენთვის
თქვენი ქურქი ნაქები,
მე კი მინდა ისეთი,
რომ არ ჰქონდეს ლაქები!

დაბოლმილი ტაპირი
ტურის კბენას აპირებს.
გუშინ უთხრა ამ ტურამ:
– ცხენის კარიკატურავ!



ზის მაკაკა გალიაში, შტერი,
გადმოგდებულ ბანანს ჭამს და მღერის:
– ეს ცხოვრება ემი ისე გავლიე,
რომ ვერ ავცდი გისოსებს და გალიებს.
ჰოდა, კარგო, როცა საკანს აუვლი,
ამიხსენი ემი დანაშაული!
ბანი მისცა შურთხმა:
– ეგებ რამე ვუთხრათ?!..

სიყვარულით მაკაკამ
ლამის ჭკუა დაკარგა:
– ოჰ, თავს როგორ იფასებს
მაიმუნი შიმპანზე!..

მაკაკა ჭამს პიცას,
ყველა წესებს იცავს:
დაესვრება ტუი
– ხელსახოცი იმწამს!
ჭამის შემდეგ ზანტად
გააბოლებს ნამწვავს...
– არა, ძმაო, ნაღდად,
ეგ ვიღაცას ბაძავს!..

თუთიყუში – ბოროტი
მაიმუნებს აბრაზებს:
„პრიმიტიულებიო“,
– გიწერიათ აბრაზე!
თუ არ გჯერათ,
ჰკითხეთ კობრას,
იმას, თავგატყეპილს რომ ჰგავს.
აბა, რისთვის ატარებს
ამოდენა სათვალეს?!

დარაჯები დათვრნენ, დასცხეს...

თუთიყუში „იაზვობს“ დილით:

– შიმპანზიკო! ხომ არ გარცხვენთ

თქვენი გარე ბიძაშვილი?!

ზებრებს აბრაზებს კაკადუ:

„ – ზოლები გიგავთ დახატულს.

ამბობენ ავი ენები,

ვითომ თქვენა ხართ ცხენები.

დადის აგრეთვე ჭორები,

– ტახი შეცვალეს ღორებით.“



იბღვირება არწივი
ნახუბარი კაცივით.
თუთიყუში დასცინის:
– კი გაჭმევენ აწი!
სიამაყე ნაციის
და კაცური კაცი!..
მოიწყო საძვალეთი,
თავის ქალა უდევს,
„ზოოპარკის ჰამლეტი“,
კომპლექსების ბუდე!



– შეძლებაზე ნურც კი მკითხავ:
სახლი, ბაღი, „ბასეინი“...
კუს ეჭორავება ვირთხა:
– ნახე ვენი „ხაზეინი“?!
ახლა წონა?!
ერთი ტონა!
ეგ რომ ქეიფიდან მოდის,
სუყველანი კითხულობენ:
„– ვინაა ეს ბეჰემოთი?!“

ბუმ დამოძღვრა თუთიყუში:
– პაკო, დაიმოკლე ენა!
ისეთია შენზე წყენა,
რომ არა გაქვს
წარმოდგენა.
კუ, არწივი,
ზებრა, გველი,
შენს ერთ
გამოფრენას ელის.
სხვა გზა
აღარა გაქვს პაკო, –
უნდა სუყველანი აქო!



კენგურუს აგიჟებს პაკო –
ქათინაურებით ამკობს:
– რახანია თქვენით ვტკბები,
მინდა აგურულოთ ყურში:
– სადმე ხომ არ გეგულებათ
ანთიანი თუთიყუში?!

საჩივრები

მოგახსენებთ:
ამა დილას,
კუ ამარტყა ჰამადრილმა!
– ვინააო, ტურიკო,
რომ აჭმევენ ურიგოდ?!
– რა რიგი და რა ქრთამი?!
აქ რომ დაკლეს ქათამი,
ემი ძველი დაქალი –
მერგო ერთი ბარკალი.
რა გამოდის?
დავკარგე მეგობარი ყოფილი,
თან კუ თავში ამარტყეს...
ვარ შეურაცხყოფილი!!!

ტურა.

საჩივრები

– რით ვარ სხვაზე ნაკლები,
წესიერი აქლემი?!
ციყვი მიფრთხობს კაკლებით
ზოოპარკის მნახველებს;
ტურა ენას მიყოფს და
ნერვებს მიშლის, მახელებს;
თუთიყუში მეძახის:
„პროფილს საქართველოსი!“
უკვე მადას ვკარგავ და
ნიშნები მაქვს ნევროზის.

აქლემი.

საჩივრები



საივარი შეიტანეს პინგვინებმა:

„ – თუთიყუში იგინება!“

ᲬᲘᲚᲘ-ᲬᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲡᲚᲘᲡ

ტყეა ვრცელი,
კენწერონი
ლამის ცამდე აზიდულან.
აქ, ემს გარდა, ბინადრობენ:
დათვი, მავი, ბუ და ტურა.
თუ ამობრძანდებით,
გელით,
სტუმართმოყვარეა ყველა.

ღრმა პატივისცემით,
მგელი

P.S. არ ამოგვიყვანოთ მელა

ტირის, ზლუქუნებს ყურცქვიტა.

– რა მოხდა?!

– ზღარბმა უხვლიტა.



მზეზე თბება
ჭრელი გველი,
არცთუ ისე საშინელი.
ღამით მიწა იყო სველი –
გაშეშებული აქვს წელი.

ტყეში ატყდა დიდი ომი:
ტურას უნდა, გახდეს ლომი.
ლომს არ უნდა იქცეს ტურად
და იქცევა სადისტურად!

ნერვიულობს ზღარბი,
მწარედ ჭმუხნის წარბებს:
– მგონი მცვივა ეკლები,
უკვე მიანს ნეკნები.
დაუყვავა ყვავმა:
– მესმის შენი ტრავმა.
აერია ჭოტი:
– ჭკუა არ გაქვთ იოტი,
გაზაფხული მოდის...

ზღარბი ამბობს:

– ამ ტყეში არ მიცნობენ სრულიად,

რომ აუემებიათ:

„ზღარბი მარტოსულია!“

არავინ მეკარება,

აქეთ-იქით გარბიან.

ჰო, იმასაც ამბობენ:

„ეკალმწარე ზღარბია!“

მათთან მიახლოების გზები გადამიკეტეს

და ემს გარდა ვერავინ

გრძნობს ამ გულის სიკეთეს.

ჭოტი ჰყვება:

– გუშინ ყვავთან

დავესწარი

პურ-მარილს.

მელა ჰყავდა მიწვეული –

საპატიო სტუმარი.

ყვავმა:

– მე აქ ვბინადრობო

მეორასე წელია!

– ჰოდა, ვენი იუბილარი

გადასანსლა მელიამ!



ზის ხის ტოტზე
ორი ყვავი:
ერთი მშვიდი,
ერთიც – ავი.
ის, რომელიც არის ავი,
არ გაერებულა – ხავის:
– ეს რომ მიზის
ვითომ მშვიდი,
არის ეშმაკი და ფლიდი.
უნდა გამოენა თავის,
როგორც არმხავანა ყვავის.



კონფლიქტი აქვს სკვინას:
უმცროსი ძმა გლიჯავს,
ისაკუთრებს ჭიას
და თავისთან მიაქვს.
„არევანი რომ მქონოდა,
ძმად სხვა უნდა ამერია,
მაგრამ რა ვქნა? –
ვენი ძმობა
ნაღდად მიღირს ამ ერთ ჭიად!“
თქვა უმცროსმა სკვინამ:
– მთავარია, ვინ ჭამს!

სანამ კლანჭს არ გაჰკრავს ძერა,
მწყერს არ სჯერა ბედისწერა.



ხეზე ცხოვრობს
ორი ციყვი:
ერთი – ბრძენი,
ერთიც – ბრიყვი.
აუწერელია ენით, –
რა სიმარდით
დახტის ბრძენი
და ვერ გამოვხატავ სიტყვით,
რარიგ დინჯად
დადის ბრიყვი.

ციყვი ტეხავს კაკალს:
ნახევარი – ძმაკაცს,
ნახევარი – დაქალს.
ტეხავს კიდევ.
აქაც –
ნახევარი – დაქალს,
ნახევარი – ძმაკაცს.
ცოლი ითმენს ერთხანს:
ქმარი ისევ ტეხავს...



ჭოტი ღელავს:
ნეტა, ვინ აუხსნის ამ ბუს,
მისი გამოხედვა,
როგორ მახვევს თავბრუს...

ყვავი კვდება სიცილით:
– ამ ჭოტებს და ამ ბუებს,
რაის გრძნობა,
დღის ძილი,
რომ უყვართ,
ის აბრუებს!

ვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით:
– მაგალითად, მოდის მტერი,
ვერაგი და არცთუ შტერი.
ცხვირწინ უზის ოთხი ხვლიკი:
ორი – აქეთ,
ორიც – იქით.
სანამ მოიფიქრებს მტერი,
ვისი შეჭმის არის ჯერი,
არ გეგონოთ, –
იცდის ხვლიკი,
როდის მოვა მისი რიგი.

ვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით,
გვაქვს სახელი ქებული
– „კუდზეხელაღებულის“!
თავდასხმიდან გადის წუთი:
აქეთ – ხვლიკი,
იქით – კუდი.
მტერი ვეღარაფერს იგებს,
იჭერს კუდებს,
უშვებს ხვლიკებს.
მეომარი ქებული,
რება გაწბილებული.
ვენ, გულადი ხვლიკები,
მტერს ვჯობივართ ხრიკებით.
ასეთები ვიყავით,
ასეთები ვიქნებით!



დათვს ბელისთვის
ბევრჯერ უთქვამს:
„ – დაანებე თავი ფუტკარს,
ფუღუროში თავს თუ შეყოფ,
მაგ ცხვირს
მწარედ დაგითუთქავს.“
ესე ამბავია ძველი:
– არ უჯერებს რევას ბელი,
ახლა თვალები აქვს სველი,
დედის დახმარებას ელის.



კუ აახლებს ბინას,
თითქმის აღარ სძინავს,
საქმრო გამოუნდა
ამ ცოტა ხნის წინათ.
ელვარებას ჯავშნის
შეღამება აქრობს,
ჭერი უკვე გაშრა...
იგვიანებს საქმრო...



ღამეა და ისე ბნელა,
ტყეში არაფერი არ ანს.
სადღაც დათარეშობს მელა,
კურდღელს აუქარდა მაჯა.
ვიღაც წივის,
ვიღაც ღნავის,
ჭოტი აკვარკვალებს
თვალებს,
გამწარებით ხავის ყვავი...
ინათებდეს, ნეტავ, მალე...

ჭაობი-ტბაობი-ზღვაობი



ბაყაყს ამშვიდებს ფლამინგო:

– შეგჭამ და უნდა გამიგო...

წყლისა პირსა
ვიღაც შფოთავს:
– ახლა სიგამხდრეა მოდად.
ამ ემს მშობლებს ჭკუა ჰქონდათ,
რომ მაენდნენ ბეჰემოთად?!



დამიჯერებთ?
ერთი ნახვით შეუყვარდა ნიანგს ვარხვი
და ამ შეყვარებულ ნიანგს
ახლა ვარხვთან თევზი მიაქვს!..

ვარხვი ამბობს:
– ერთი-ორი თაყვანისმცემელი კი მყავს,
მაგრამ ვიცი, მიწუნებენ
ერთნი – ფეხებს,
სხვანი – ნიკაპს.
რა იღბალზე დავიბადე?
ნეტავ, ვინმემ გამიგოს ეს...
ეჰ, მქონოდა თავი ბატის
და ფეხები ფლამინგოსი...



დგას ჭაობში ყანა,
იყურება ანხლად,
ბაყაყები არ ანს, –
დღეს მშიერი დარა...



ტბაში ცურავს ბატი,
მისდევს ჭუკი ათი,
უჭირს დათვლა მათი...

იხვი შურით უცქერს წეროს,
მაღალს,
როგორც ლერწმის ღეროს.

„რაც
არ
უნდა
გაიწელო,
მაინც
ვერ
გახდები
წერო!..“



ჭაობთა სიამაყეს –
კონკურსი აქვთ ბაყაყებს.
ჯიბრზე ახალთაობის
უნდათ „მისის ჭაობი“!
აირიეს ერთი
ხანდაზმული ლედი.
ხტუნვით, შლიგინ-შლიგინით
მიუტანეს გვირგვინი.
ეცინებათ ფლამინგოებს:
„ – რა ნაშები დაგვიგროვეს!“

ნელა მიცურავს ვეშაპი,
ზედ აზის ათი ფლამინგო.
– ვენს გადაფრენას სჭირდება
ფლამინგომზიდი, ძამიკო!



ფრინველების ბაზარზე
არის დიდი გნიასი:
ბარტყია დაკარგული –
რიგით უკვე მეასე.
უფროსები უვლიან,
ვიდრე დედა ნახავდეს
და წინ გადაუშლიან
აი, ამ ანახატებს.



რაა წიგნი?
ყდა და შიგნით –
ტექსტი, ლექსი, ნახატი;
სიხალისე, სიყვარული –
გადამდები სახადი;
ვენი ეზოს,
ტყის და ველის
ამბები და დრამები;
წამოზრდილი შვილები და
ჯერაც ბავშვი მამები.
რაა წიგნი?
ყდა და შიგნით –
რამდენიმე ნახატი.
გეთხოვებით,
მიმთავრდება
მელანიც და ქაღალდიც.
აბა, კარგად,
მომავალი ნახატების ნახვამდის.

პირთა საძიებელი

(კომენტარებითურთ)

ავტორი - 4, 26, 46, 66, 76

არწივი - 38, 40, 46

აქლემი - 26, 43

ბარტყი - 75

ბასეტი (ძაღლის ჯიშია, ვენში იშვიათია) - 24

ბატი - 10, 12, 66, 71

ბატკანი - 12

ბაყაყი - 66, 67, 70, 73

ბელი - 62

ბეჰემოთი - 39, 68

ბუ - 40, 46, 47, 59

ბუდა (სანსკრიტულ ენაზე - „გაცისკროვნებული“) - მსოფლიოს ხუთ ძირითად რელიგიათაგან ერთ-ერთის - ბუდიზმის დამაარსებელი - სიდჰარტა გაუტამა (623-544 წწ. ძვ. წ-ით) - 8

ბუზი - 8

ბუსუნსულა - ავტორის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ძაღლი - 23


გველი - 40, 49

გოჭი - 4, 13, 19

დათვი (ტყეში არ ანს, ეძინა) - 47, 62

ვარხვი (იგივეა, რაც „პელიკანი“) - 69

ვეშაპი - 74

ვირთხა - 16, 22, 39

ამის გვერდე-
ბი არ მიყვება
და ვერ გავიგე
პრინციპი...

ვირი - 14

ზაზუნა - 28

ზებრა - 37, 40

ზღარბი - 40, 46, 48, 51, 52

თაგვი - 15, 16, 17, 46, 48


თევზი - 69

თოლია - 4, 21

თუთიყუში - კაკადუ (სახელად - „პაკო“) - ყოვლად უმსგავსი არსება, იგინება ხუთ ენაზე - 35, 36, 37, 38, 39, 40, 41

თხუნელა - 28

ინდაური - 11

იხვი - 72

კაზანოვა, ჯაკომო (1725-1798) - ისტორიაში შევიდა „მემუარებით“, რომლებშიც თავისი სასიყვარულო თავგადასავლები აღწერა, ხოლო მისი სახელი ქალთა მოტრფიალის სინონიმად იქცა - 22

კალია (სახელად „კოსტა-ბრავო“) - 7

კატა („ფისო“) - 4, 15, 17, 18

კენგურუ (ძუძუმწოვრების ერთ-ერთი კლასის, ე.წ. „ანთოსანთა“ წარმომადგენელია) - 41


კობრა - 35


კუ (ბოლოს და ბოლოს გათხოვდა) - 39, 40, 41, 63

კურდღელი (იგივე - „ყურცქვიტა“) - 9, 46, 48, 64

ლეოპარდი - 26, 30, 31

ლომი - 50

მაიმუნები (ზოოლოგიური კლასიფიკაციით - პრიმატები) - 26, 34, 35

მაკაკა (მაიმუნის ჯიშია) - 33, 35

მამალი - 4, 21, 22

მავი (ტყეში იმალებოდა და წიგნში არ ანს) - 47

მგელი (სახელად „სევასტი“) - 47


მელა - 47, 53, 64

მწევარი - 9

მწყერი - 56

ნევროზი - ადამიანებსაც და ცხოველებსაც ემართებათ, სისტემატურად ნერვებს თუ უშლის ვინმე (ან - რამე) - 43

ნიანგი - 69

ობობა (ბუზს რომ ეშინია ობობასი გასაგებია. გაუგებარია ადამიანებს რატომ ეშინიათ. არადა, დიაგნოზიც კი არსებობს - „არაჰნოფობია“) - 8

პავიანი (მაიმუნის ჯიშია) - 29

პასკუალინა (ავტორის ოჯახის წევრი, ნაზი და კლდემამოსილი ქალიშვილი) - 4, 23

პინგვინი - 44

ჟირაფი - 26, 28

სკვინა (ორნი ძმანი - გოა და ხვია) - 46, 55

სპილო - 27

ტაპირის თაობაზე ზოოლოგები ტურიკოს არ ეთანხმებიან – ძროხას ჰგავსო (ლიქებით!) - 32

ტახი - 20, 37

ტურა (იგივე „ტურიკო“ - დიდი ეშმაკი ვინმე) - 19, 26, 32, 42, 43, 47, 50

ფანი - ავტორის უსაყვარლესი ძაღლი, ფოქსტერიერი - გარეკანზეა

ფლამინგო - 67, 74

ქათამი (მამლის ცოლები, ინკუბატორიდან არიან) - 21

ქათამი (ზოოპარკის ქათამთაგან, შეჭმულია) - 42

ღორი - 13, 19, 20, 37

ყანა - 70

ყვავი - 46, 51, 53, 54, 59, 64

შიმპანზე - ადამიანისმაგვარი მაიმუნი, რომელიც (დარვინის თეორიას თუ დავუჯერებთ) გარე ბიძაშვილად ნამდვილად გვერგება - 34, 36

შურთხი(მთის ინდაური)- ვენმა მონადირეებმა ისეთი თავგამოდებით გაწყვიტეს, რომ ახლა ნაკრძალებში საზღვარგარეთიდან ამოჰ-ყავთ იმ იმედით - „უცხოელს თოფს არავინ ესვრისო“...) - 33

ციყვი - 26, 43, 46, 57, 58

ციცარი - 4, 12, 21

ცხენი - 37

ძაღლი (ძაღლს, როგორც ასეთს, აქ განასახიერებს ავტორის ოჯახის წევრი „კუსკუსა“ - უსაყვარლესი ტიპი) - 4, 10, 11, 13, 23

ძერა - 56

ძროხა - 30

წერო - 66, 71, 72

ჭია - 5, 7

ჭოტი - 51, 53

ჭუკი - 66, 71

ხვლიკი - 60, 61

ხოჭო - 6

ჰამადრილი (მაიმუნის ჯიშია) - 42

ჰამლეტი - უილიამ შექ-სპირის (1564-1616) ამავე სახელწოდების პიესის გმირი, რომლის სახელი ტრაგიკულად აფიქრებულ ადამიანზე მიგვანიშნებს - 38

პირთა საძიებელი შეადგინეს: **გველუკა სისინაშვილმა და ანა-კონდა მაიმუნიანმა**

ზაზა აბზიანიძე

ზღვისფერი

ზღაპრები დიდებისა და პატარებისათვის

ილუსტრაციები ავტორისა



ეს გვერდი
არ გამოდის
სარჩევში, შემ-
დეგი კი და ასე
უნდა იყოს?

წითელკუდა

როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა, ყველაზე რომანტიკული მოგზაურობა ნაგვის ყუთში დაიწყოს? – შეიძლება, თუ პატარა ნაცრისფერი თაგვი ხარ და თან თეონა გქვია.

მოკლედ, ეს ჩვენი თეონა ნაგვის ყუთში შეყოვნდა და ნაგავმზიდში ამოყო თავი. კარგა ხანს იჭანჭყარა და ბოლოს უბნის ნაგავთან ერთად ტრიალ მინდორში აღმოჩნდა.

„რა საველურეთია, – გაიფიქრა სასოწარკვეთილმა, – არც კორპუსები, არც ნაგვის ბუნკერები... – ის-ის იყო, წამოიწყო: „ო, რა მარტო და მიუსაფარი დავრჩიო...“, რომ ცხვირწინ იქაური მინდვრის თაგვი დაუსკუპდა.

– მანქანით ჩამობრძანდით? – ზრდილობიანად იკითხა მასპინძელმა.

– დიახ, ჩამომიყვანეს, – მიუგო თეონამ, თან გაიფიქრა, – რა იცის მანქანებისა ამ გაპუწულმაო...

– თქვენი სახელი მაჩუქეთ...

– რა გოიმური გამოთქმებია, – გაიპრანჭა თეონა, – ისე, მე თეონა მქვია.

– მე კი ასე: ხვიჩა. რომელი უბნელი ხარ?

– მასივიდან.

– აქედან რომ ჩანს?

– არ ვიცი, აქედან რა ჩანს. ნამყოფი არ ხარ ქალაქში?!

ხვიჩამ კითხვას წაუყრუა და ისევ განაგრძო:

– ბინებში ცხოვრობთ?

– სხვენზე. ზაფხულობით კი – სარდაფში. იქ უფრო გრილა.

– აქ რომ დაისვენოთ, არ ჯობია? – არ ეშვებოდა ხვიჩა.

– აქ რა მინდა, ამ მოტიალებულში, – ისევ აიმრიზა თეონა, – რა მოგწონს აქ?!



ხვიჩა განაწყენდა:

– რა მომწონს და – მონდორ-ველი; ცისარტყელა გინახავს? კაკალი, თხილი – ულევი. რა გინდა მეტი?!

– აჰ, აჰ, არ გამაგონო! – ჯიუტობდა თეონა, – ლიფტში მჯდარხარ?

ხვიჩამ საერთოდ არ იცოდა, რა იყო ლიფტი, და პირდაფჩენილი შესცქეროდა ქალაქელს. თეონა ისე გატაცებით ამტკიცებდა, ლიფტით მგზავრობას არაფერი შეედრება ამქვეყნადო, რომ ხვიჩაც აიყოლია და ერთად მიაშურეს ქალაქს.

მასივს რომ მიადგნენ, აქ უკვე თეონა მასპინძლობდა. ღვთის მადლით, სადარბაზოცა და ლიფტიც ჩაბნელებული იყო. ამით გათამამებული თაგვები მესამე სართულის მცხოვრებს ლიფტიდან ფეხდაფეხ შეჰყვნენ ბინაში და მაცივრის უკან შეიყუჟნენ.

მგზავრობისას მოშიებულ ხვიჩას საჭმლის სუნი ეცა და იქვე მდგარ პატარა რკინის ყუთში დაკიდებულ თხილს სწვდა. იმავ წამს რაღაც ჩხაკუნი გაისმა და სათაგური ჩაიკეტა.

ჩხაკუნზე ოჯახის დიასახლისი მოვარდა და აწიკვინდა:



– ისევ ის საზიზღარი თაგვია, თქვენ რომ ცოცხლად უშვებთ. დაახრჩვეთ აბაზანაში და მორჩით!

ბავშვები აღშფოთდნენ:

– მაგას თუ იზამთ, აღარასდროს ვიბანავებთო!

– კუდი მოვაკვნიტოთ და ისე გავუშვათ. თუ დაბრუნდება, ხომ მივხვდებითო, – ურჩია ბაბუამ.

ბავშვები ამაზეც აყვირდნენ:

– რა მხეცობაა!

გამოსავალი ისევ ოჯახის მამამ ნახა:

– მოდი, კუდი შევუღებოთ და ამით შევატყობთ, ერთსა და იმავე თაგვს ვიჭერთ თუ არაო.

აცახცახებულ ხვიჩას მართლაც შეუღებეს კუდი წითლად და აივნიდან მოისროლეს. თეონამ შვებით ამოისუნთქა.

მეორე დღეს ამავე კორპუსში მცხოვრები ხანდაზმული კატა ეკატერინე ჰყვებოდა:

– მიდი და თქვი ამის შემდეგ, რომ მაღლა არაფერი არსებობს! ვიწექი ჩემთვის ეზოში და თაგვი ვინატრე თუ არა, ზედ თავზე დამეცაო.

აი, მერე რომ უმატებდა, ასეთი გემრიელი თაგვი ცხოვრებაში არ მიჭამიაო, უკვე ტყუილი იყო, რადგან ხვიჩამ კატის გაოგნებით ისარგებლა და მოკურცხლა.

უბნის კატებს ამ მონაყოლის არც პირველი ნახევრისა სჯეროდათ და არც მეორისა:

– ნუ იცი შენ, ეკა, უცნაური ამბების გამოგონებაო.

კუდშეღებილი ხვიჩა კი თავის მინდორს დაუბრუნდა და იკვეხნიდა:

– ქალაქში განსაკუთრებულად საპატიო სტუმრებს კუდს წითლად უღებავენ. ისე, ფრჩხილებშეღებილიც ბევრი ვნახეო.

ისე იყო თუ ასე, ხვიჩას „წითელკუდა“ შეერქვა და, თუმცა დროთა განმავლობაში კუდზე წითელი საღებავი გადაეცალა, მაინც გატაცებით ჰყვებოდა ქალაქში მოგზაურობის ამბავს.

თეონაც ხშირად იხსენებდა თავის ახალ მეგობარს და ფიქრობდა, მართლაც ხომ არ გაეტარებინა ზაფხული ხვიჩას მინდორზე.

კოსტა-ბრავო

თქვენ, ალბათ, გგონიათ, რომ ცნობილ ესპანურ კურორტზე, კოსტა ბრავაზე უნდა მოგიყვეთ. არა და არა. ჩვენს გმირს მხოლოდ სახელის ჟღერადობა მიუგავს კოსტა ბრავას. ანდა, მართლაც, რა საერთო უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან გადაპრანჭულ საზღვაო კურორტს და მოუსვენარ კალიას, რომელსაც „კოსტა-ბრავო“ მეტსახელად თავისი გამორჩეულობისათვის შეერქვა.

სწორედ ამ გამორჩეულობაზე უნდა მოგითხროთ. კოსტა დანარჩენ კალიათაგან, პირველ ყოვლისა, თავისი გარეგნობით განსხვავდებოდა. ისინი პატარები და ნაცრისფერები იყვნენ, ეს კი – წარმოსადეგი და ხასხასა მწვანე. მაგრამ, რაც მთავარია, კოსტა ეზოს ჩემპიონი გახლდათ ხტომაში.

ო, რა შურითა და აღტაცებით უცქეროდნენ პატარა, ნაცრისფერი კალიები, როგორ ჩაამწკრივებდა კოსტა ოციოდე მუხლუხოს და როგორი სიმსუბუქით გადაახტებოდა თავზე. – ბრავო! ბრავო! ერთხელაც! – შესძა-



ხოდნენ მაყურებლები, კოსტა კი ამპარტავნულად ბრუნდებოდა სტარტზე და კიდევ ერთი მუხლუხოთი ზრდიდა დისტანციას.

ოცდაათ მუხლუხოსაც რომ გადაახტა, კოსტამ მუხლუხოებისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა და ახლა ქათმებისაკენ გადაანაცვლა მზერა. ერთგვარი სპორტული გეგმაც შეიმუშავა: „ჯერ ჩუკა-წიწილას გადავახტები თავზე, მერე – ვარია-პატარძალს და ბოლოს – ედიშერა მამალსო."

პირველი ორი ამოცანა რომ დასძლია, კოსტა ისე გაიბღინძა, გარეშემონი უბატონოდ ხმას ვეღარ სცემდნენ. ერთი კია, ზურგს უკან „კოსტა-ბატონოს" ნაცვლად, „კოსტა-ბრავოს" ეძახდნენ და ზოგიერთი ენამწარე იმასაც კი ამბობდა, ედიშერა მამალმა არ შეგვიჭამოს ეს ჩვენი გაამპარტავნებული ჩემპიონიო.

კოსტა-ბრავო თავისას მიერეკებოდა: „აი, ედიშერასაც რომ გადავახტები, საერთოდ წავალ დიდი სპორტიდანო! რამდენიც უნდა იხტუნაონ, მე ჩემი აბსოლუტური რეკორდი განაღდებული მექნებაო!"

და, აი, რეკორდის დღეც დადგა: ედიშერა – აგრესიული, ანჩხლი და დაუდგრომელი – თითქოს ვინმემ გააფრთხილაო, გაუნძრევლად იდგა ცალ ფეხზე და მიწას ჩასჩერებოდა. სტარტზე მუხლუხო იზოლდა გაწვა. კოსტა—ბრავომ ისკუპა და თავზე გადაევლო ეზოს რისხვას. მამალმა ერთი კი გახედა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია, მხოლოდ თავისთვის გაიფიქრა: „ძვირად დავუსვამ ამ თავხედობას ტუტუც კოსტასო!"

მართლაც, როდესაც კალიების აღტაცებული შეძახილები შეწყდა, ხოლო კოსტა ჩვეული სკუპ-სკუპის ნაცვლად, მედიდურ ბაჯბაჯზე გადავიდა (ჩემპიონს სიდინჯე შეშვენისო), გაბოროტებული ედიშერა თვალის დახამხამებაში თავს წამოადგა, ჩაუნისკარტა და ერთბაშად გადაყლაპა აბსოლუტური ჩემპიონი...

– ეჰ, ბედისწერას ვერ წაუხვალ, თორემ აგერ არ ვიყავით, ეხტუნავა, რამდენიც უნდოდაო, – მოთქვამდა მუხლუხო იზოლდა.

ამბავი დე ლა მელასი

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა და აქედან ძალიან შორს. თქვენ რომ შეგძლებოდათ ნებიერად გეფრინათ უღრანი ტყის თავზე, როგორც, მაგალითად, ცნობისმოყვარეობით განთქმულ ყვანჩალა ზიტას, უთუოდ შენიშნავდით ტყის შუაგულში, მდელოზე აჩონჩხლილ პატარა ციხესიმაგრეს ქონგურებიანი გალავნით და ამ გალავანს გაყოლებული, წყლით ამოვსებული თხრილით.

უცნაური იყო ეს სათამაშოსმაგვარი ციხესიმაგრე და კიდევ უფრო უცნაური – ის ამბავი, აქ რომ დატრიალდა. უცნაური იყო, რადგან ეს ციხე-დარბაზიცა და ეს გალავანიც, თავის დროზე, ტყის უჩინარ ბინადრებს – პატარა, ჯადოქარ გნომებს აეშენებინათ იმდროინდელი რაინდების წაბაძვით, ერთხანს უცხოვრიათ კიდეც აქ, მაგრამ მერე ისევ ძველებური და თავისუფალი ცხოვრება მონატრებიათ და ტყეში დაბრუნებულან, ციხესიმაგრე კი აქაური ტყის მელათმთავრის – დე ლა მელას – მშობლებისათვის გადაუბარებიათ. გარიგების თანახმად, ციხის ახალი მეპატრონენი ყოველდღე მიაცუნცულებდნენ ქონდრისკაცებთან თავისი ღამეული ნადავლის მეოთხედს.

ასეთი იყო გარიგება წინაპართა შორის და მელაკუდები, თუმცაღა საკმაოდ ეშმაკები იყვნენ, ამ გარიგებას არ არღვევდნენ – არც ჯადოქარი გნომების განაწყენება უნდოდათ და არც თავიანთი წინამძღოლისა, რომელსაც, ციხე-დარბაზთან ერთად, მელათა გრაფის წოდებაც მიეღო და ახლა ისე უფრთხილდებოდა ამ რაინდულ პატივს, როგორც თავის უგრძელესსა და უფაფუკეს კუდს.

ადრე, როცა კუდგრძელები ჯერ კიდევ თავ-თავიანთ სოროებში ცხოვრობდნენ ტყეში, ნადავლის მეტ ნაწილს მგელი სევასტი ართმევდა. სევასტის არნახული მადა ჰქონდა, მაგრამ სოფლის ძაღლებისა ეშინოდა და მარტო მელიები ჰყავდა დაჯაბნილი – სადაც კი დაიგულებდა, პირიდანვე სტაცებდა ქათამს. რომელიმე მელათაგანი რომ გაჰქცეოდა კიდეც, გაწბილებული სევასტი სოროს აუწიოკებდა. მომხდარა, რომ ლეკვებიც კი მოუტაცია...

ისე იყო თუ ასე, მელათა მოდგმამ გნომებთან გარიგება არჩია. ახლა, ღამეული ნადირობის შემდეგ, მელაკუდები გარიჟრაჟზე, წინასწარ დათქმულ ადგილზე ხვდებოდნენ ერთმანეთს და მამაცი დე ლა მელას წინამძღოლობით დარაზმულნი ამაყად შედიოდნენ თავის ციხე-სიმაგრეში.

შიმშილით ჯანგატეხილი სევასტი კბილების კრაჭუნით უვლიდა გარშემო სამელიეთის გალავანს და დე ლა მელას მოდგმის აქ დასახლების დღეს წყევლიდა...

სამელიეთის გალავანს შიგნით კი ფრიად საინტერესო ამბები ხდებოდა. გნომებისგან გაგონილმა სარაინდო ისტორიებმა ისე გაიტაცეს დე ლა მელა, რომ იგი ახლა ძალას არ იშურებდა, რათა თავისი ცუღლუტი ქვეშევრდომებისათვის ნამდვილ საგრაფოებში მიღებული წეს-ჩვეულებები და სიტყვა-პასუხი შეეთვისებინა.

ამ წეს-ჩვეულებათაგან ზოგი ძალიან ლამაზი იყო, ზოგი – მომაბეზრებელი, მაგრამ არცთუ უაზრო, ზოგიც – უბრალოდ, სასაცილო... გრაფის ზურგს უკან თითქმის ყველა ქირქილებდა მის ახირებაზე, მაგრამ ამ თამაშს თავისი ხიბლიც ჰქონდა და მელაკუდები თანდათან მიეჩვივნენ თავის ახლებურ ყოფას: ღამღამობით კვლავ დასუნსულებდნენ ნადავლის საშოვნელად, დღისით კი ისე დარბაისლურად დასეირნობდნენ დე ლა მელას სასახლის გარშემო, რომ ამის შემყურე ყვანჩალა ზიტას ეჭვიც კი ღრღნიდა – ჩემს შემოსატყუებლად ხომ არ იდარბაისლებენ თავს ეს ეშმაკებიო?

მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად კი – საღამოს (ხოლო მშვენიერი იყო თუ არა – ახლა ნახავთ), სამელიეთის გალავანს შიგნით ისეთი წრიალი ატყდა, რომ ცნობისმოყვარე ყვანჩალა ზიტამ ჩვეული სიფრთხილე დაივიწყა და გალავნის ქონგურს შემოაჯდა. აქედან უკვე

კარგად ხედავდა, რომ მისთვის ახლა სამელიეთში არავის ეცალა: რაღაც საგანგაშო მომხდარიყო, მელიები მიმორბოდნენ და მხოლოდ დე ლა მელა, რომელსაც ზიტა უცთომლად ცნობდა უზარმაზარი და მბზინავი კუდით, აუჩქარებლად მიემართებოდა სასახლისაკენ.

გრაფის ციხე-დარბაზში უკანასკნელი, ყველაზე ბალანგაცვენილი და გაუბედურებული მელაც რომ შეიძურწა და გარეთ აღარავინ დარჩა, ზიტას მთლად უმტყუნა ნებისყოფამ და ახლა უკვე სასახლის ზემო სარკმელში შეყო თავი.

როდესაც აურზაური მიწყნარდა და კუდაცახცახებული ქვეშევრდომები უფროს-უმცროსობით განლაგდნენ დე ლა მელას გარშემო, ზიტა სმენად იქცა. მალე იგი მიხვდა, რომ მთელ ამ ამბავს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ყვავებთან, მაგრამ სამელიეთს კი, მართლაც, დიდი გასაჭირი ადგა – ამაღამდელი ნადირობისათვის გამზადებულმა მელაკუდების რაზმმა თხრილზე გადასასვლელი ხიდი ვერ ჩაუშვა. ვიღაც მზაკვარს გარედან ისე ჩაეხერგა ხიდიცა და ალაყაფის კარიც, რომ ახლა ციხიდან ცხვირს ვერავინ გაყოფდა. რაღა თქმა უნდა, თუ გალავნიდან გადახტომას და თხრილში თავის დახრჩობას არ მოინდომებდა.

ზიტა მიხვდა, რომ, წესისამებრ, სხვაზე ადრე თავისი აზრი დე ლა მელას ყველაზე კუდგრძელ კარისკაცებს, ბარონებს დე სუნსულიოსა და დე ცუნცულიოს უნდა გამოეთქვათ. მაგრამ ყვანჩალამ არ იცოდა, რომ სუნსულიო-ცუნცულიოს ვეზირობის დროს, მათი აზრები არც ერთხელ არ დამთხვევია ერთმანეთს.

ახლაც ასე იყო. დე სუნსულიო დაჟინებით იმეორებდა: „სევასტი! სევასტი! სევასტი!“, ხოლო დე ცუნცულიო ასეთივე შეუპოვრობით პასუხობდა: „ბომბოკო! ბომბოკო! ბომბოკო!“

დე ლა მელა ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს, თავისთვის კი ფიქრობდა, რომ თუმცაღა სევასტი ყველაფრის მკადრებელი იყო, შიმშილით მისუსტებული ბებერი მგელი ვერაფრით ვერ ამოგლეჯდა ძირფესვიანად ხეს და ხიდს ვერ ჩახერგავდა, ხოლო დათვი ბომბოკო ჯანზე კი იყო, მაგრამ მელიებთან გასაყოფი არაფერი ჰქონდა და, საერთოდ, არ ჰგავდა ამგვარი ვერაგობის ჩამდენს...

მელათმთავარმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი კარისკაცებს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ბრძენი სოფი თუ უშველიდა ახლა ჩვენს გაჭირვებას, მაგრამ ფრენა ჩვენ არ შეგვიძლია და, აბა, ხმას როგორ მივაწვდენთ?..

– მე მოგიყვანთ სოფის! – ისე უეცრად ჩამოსჩხავლა ზემოდან ზიტამ, რომ თვითონვე გაუკვირდა და თავი ფრთებში ჩამალა.

ბეწვბრწყინვალეთა საზოგადოებაში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა. დე ლა მელა უძრავად იჯდა, თითქოს არც გაეგონოს ზიტას წამოძახილი, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ რაღაც უნდობლად აიხედა იმ სარკმლისაკენ, სადაც სამელიეთის არამკითხე მხსნელი ეგულებოდა. ყვანჩალა უკვე გაფრენილიყო...

გათენებას ბევრი არ უკლდა და, ის-ის იყო, სუნსულიო-ცუნცულიო კვლავ კამათის წამოწყებას აპირებდნენ, როდესაც დარბაზში ბუ სოფი შემოფრინდა და დარბაისლურად დაეშვა დე ლა მელას ტახტის წინ.

სოფისა და დე ლა მელას მეგობრობას თავისი ისტორია ჰქონდა. ჯერ კიდევ სამელიეთის დაარსებამდე სოფის მამას შესცოდებია და შესაჭმელად არ გაუმეტებია დე ლა მელას პატარა და-ძმა. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ სოფი და მისი წვრილშვილი დე ლა მელას მთელი მოდგმისათვის კბილშეუხებელნი გახდნენ. ეს მშვიდობიანი მეზობლობა ნელინელ მეგობრობაში გადაიზარდა: სოფი დროდადრო შემოიფრენდა ხოლმე დე ლა მელასთან – ხან სევასტის ადგილსამყოფელს დაუზუსტებდა, ხან ახლად დაჭერილ თაგვს მიართმევდა, ხან სასახლის ამბებზე წაეჭორავებოდა...

გონიერ სოფის დიდი ხანი არ დასჭირვებია, მდგომარეობაში რომ გარკვეულიყო. მან ყურადღებით მოუსმინა მელათმთავარს, მოთმინებით დააცალა დე სუნსულიოსა და დე ცუნცულიოს, დაესრულებინათ მორიგი პაექრობა, მერე მძიმედ აფრინდა და ტყისაკენ აიღო გეზი.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ზიტა კვლავინდებურად სარკმელში იყო შეყუჟული და კუდგრძელებს მისი არსებობა მაშინღა გაახსენდათ, როცა სოფის გააყოლეს თვალი და ბუს მიდევნებული ყვანჩალა დაინახეს.

სოფის ყვანჩალას დამგზავრება აშკარად ხელს აძლევდა. ინათებდა თუ არა, სულ უფრო და უფრო ცუდად ხედავდა და თუ სამელიეთში უკვე გათენებულზე მოუწევდათ მიბრუნება, ზიტას უნდა მიჰყოლოდა კუდში.

ბუმ გეზი პირდაპირ ბომბოკოს ბუნაგისაკენ აიღო. დე ლა მელასთან ლაპარაკის შემდეგ, ეჭვი მაინც ღრღნიდა – ვაითუ დათვი რაიმემ გააცოფა ან ფუტკრებმა დაკბინეს და გონებადაბნელებულმა მელიებზე იყარა ჯავრიო...

ბომბოკო ბუნაგის წინ დაუხვდათ. მხარ-თეძოზე ისე არხეინად და მშვიდობისმოყვარედ წამოგორებულიყო, რომ სოფი ხმისამოუღებლად გადააფრინდა თავზე და კვლავ სამელიეთისაკენ გაეშურა. მხოლოდ ზიტამ წაიჩხავლა რაღაც მისალმებისდაგვარი და კუდი დაუქნია უცნაური წყვილის შემოფრენით ცოტა არ იყოს გაკვირვებულ დათვს.

ამასობაში გათენებულიყო და ახლა უკვე ზიტა მიფრინავდა წინ. მიფრინავდა ნელა და აუჩქარებლად, მაგრამ დროდადრო მაინც უკან იყურებოდა – სოფი ხომ არ ჩამორჩაო...

ის-ის იყო, ციხესიმაგრეში უნდა შეფრენილიყვნენ, რომ ზიტა მოცელილივით დაეშვა გალავნის ქონგურზე. სოფი უხმოდ გვერდზე მიუჯდა.

ცოტა ხანში, სული რომ მოითქვა, ზიტამ აკანკალებული ხმით ჰკითხა სოფის – მდელოზე რამეს თუ ხედავო? სოფიმ უარის ნიშნად დიდრონი თავი გააქნია. ზიტამ რაღაც დაბნეულად მიმოიხედა გარშემო, მაგრად მოჭუტა თვალები და მერე ისევ თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა ციხე სიმაგრის წინ გაშლილ მდელოს. არა, ნამდვილად არაფერი არ ეჩვენებოდა – ზედ შუა მდელოზე უზარმაზარი გველეშაპი გაწოლილიყო... მერე სოფიმაც თითქოს გაარჩია რაღაც რუხი და უძრავი ბორცვი...

ზიტა შიშისაგან ადგილიდან ვერ იძვროდა. სოფის გულმა უკარნახა, რომ ახლა მხოლოდ მის საზრისიანობაზე იყო დამოკიდებული სამელიეთის ბედი, და განწირულივით მოსწყდა გალავანს.

სუნთქვაშეკრული ზიტა ხედავდა, რა მძიმედ იქნევდა ფრთებს ბუ და რა ფრთხილად დაფრინდა რუხი მთის შორიახლოს. სოფი ცოტა ხანს შეყოვნდა. ეტყობოდა, ძალას იკრებდა, მაგრამ მერე მხნედ წაბაჯბაჯდა გველეშაპისაკენ და ზედ ცხვირწინ დაუსკუპდა.

გველეშაპი მოწკურული თვალებით მიაშტერდა ბუს – ეს ვინღაა?

სოფი ცდილობდა, რაც შეიძლება ბოხი და სერიოზული ხმით ელაპარაკა და სიტყვა-პასუხიც განსაკუთრებით ზრდილობიანი ჰქონოდა – რაც უნდა იყოს, ელჩობა ჰქონდა ნაკისრი.



– პატივცემულო გველეშაპო, – როგორც იქნა, ამოთქვა სოფიმ, – მაპატიეთ, რომ სახელით ვერ მოგმართავთ.

– მე კლარა მქვია, – მოულოდნელად ნაზი და წკრიალა ხმით უპასუხა გველეშაპმა.

– მადამ კლარა, – კვლავ წამოიწყო სოფიმ, ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა, მაგრამ ახლა უკვე თავისივე ხმით.

– გაუთხოვარი გახლავართ, – გააწყვეტინა სიტყვა კლარამ.

– ოო, მომიტევეთ, მადმუაზელ, ეს ხომ ისედაც ჩანს... ასეთი ნაზი და მშვენიერი არსება... – არ დაიბნა სოფი.

– თქვენ ასე მიგაჩნიათ? – იკითხა კლარამ, აშკარად ნასიამოვნები კილოთი.

– რაღა თქმა უნდა, ამას ხომ ბრმაც დაინახავს, – თქვა სოფიმ და ინანა, – ვაითუ კლარამ იცის, ბუები დღის სინათლეზე ცუდად რომ ხედავენო.

– როგორ დაინახავს, თუ ბრმაა? – სულ სხვანაირად შეატრიალა კითხვა კლარამ.

– გამოთქმაა ამნაირი. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: „გული გამისკდაო“ – მართლა ხომ არ გვისკდება გული, – გაუჭირვებლად მოიხმო მაგალითი სოფიმ.

– ჰოოო? – გაიკვირვა კლარამ, – თუმცა ყოველთვის მიჭირდა ამგვარ გამოთქმებში გარკვევა... მშობლებსაც იმიტომ გამოვექეცი...

– რატომ გამოექეცით? – ჩაეკითხა სოფი, რომელსაც კლარას გაჭირვებამ თავისი დამშეული ბარტყები გაახსენა.

– ჩვენს გამოქვაბულში შემთხვევით კვერცხს დავაბიჯე ფეხი და დედ-

მამამ სულ „მოსაკლავი“ მიძახეს. შემეშინდა და აქეთ გამოვიქეცი... უკვე რამდენი ხანია მას შემდეგ... ესე იგი, არ მომკლავდნენ? ეს მხოლოდ გამოთქმაა ამგვარი? აბა, თუ ბოროტები არ იყვნენ და ჩემი მოკვლა არ უნდოდათ, რატომ იძახდნენ: „ამ მოსაკლავმა ჩვენი უკანასკნელი იმედი დაამსხვრიაო?“ – მე ხომ მხოლოდ კვერცხი შემომატყდა? – თავისას არ იშლიდა კლარა.

სოფიმ მძიმედ ამოიოხრა და რაღაც უიმედოდ ახედა გველეშაპს.

– რას ბრძანებთ, თქვენი მშობლები, ასეთი პატივსაცემი გველეშაპები, თავიანთ ქალიშვილს მოსაკლავად როგორ გაიმეტებდნენ?.. იმ კვერცხიდან, ალბათ, თქვენი ძმის ან დის გამოჩეკას ელოდნენ და იმიტომაც გაცეცხლდნენ.

– არა, პირიდან ცეცხლს არ აფრქვევდნენ, – დააზუსტა კლარამ, – ცეცხლს რომ აფრქვევენ, ისინი ჩვენი შორეული ნათესავები არიან.

სოფი აღარ გამოედევნა კლარას ნათესაური კავშირების დადგენას და გველეშაპთან მისვლის მიზეზი გაიხსენა. ერთხანს ჩუმად იყო, მერე ნელი-ნელ, მოთქმით წამოიწყო:

– სულ მარტოდმარტო დარჩენილი, თან ასეთი ლამაზი, ასეთი ახალგაზრდა... რა უსამართლობაა...

ბუმ უეცრად შეწყვიტა ეს მოთქმა და რიხიანი კილოთი დაასკვნა:

– თქვენ უნდა დაბრუნდეთ! დიახ, თქვენ აუცილებლად უნდა დაუბრუნდეთ მშობლიურ კერას!

– რას დავუბრუნდე? – კვლავ ვერ გაიგო კლარამ.

– მშობლიურ გამოქვაბულს, – განმარტა გველეშაპის მიუხვედრელობით გაბეზრებულმა ბუმ.

– არასოდეს! მე მათთან საერთო აღარაფერი

მაქვს! სულაც დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვრო. მე უკვე დიდი ვარ.

სოფიმ ერთი კი დააპირა შეპასუხება, „პატარა ხარო“, მაგრამ ამ ვეება მთას რომ ახედა, ენა არ მოუბრუნდა ამის სათქმელად და უიმედოდ ჩაქინდრა თავი.

კლარა, პირიქით, გახალისდა, ლაპარაკის გუნებაზე დადგა და მეოცნებე ხმით განაგრძო:

– დიახ, მე უკვე ზრდადასრულებული ქალიშვილი ვარ და დამოუკიდებლად უნდა ვიცხოვრო. სხვათა შორის, საკუთარ ბედზეც უნდა ვიფიქრო. ამიტომ, პირველ ყოვლისა, ოცდაათი მელია მჭირდება.

სოფიმ ყურები ცქვიტა. „დაღუპულან“, – გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ შეეცადა, მღელვარება არ დამჩნეოდა და კლარას განზრახ დამტკბარი ხმით ჰკითხა:

– ასე მოგშივდათ, განა?

– არა, სულაც არ მშია... თუმცა ჰო, ჰო, ძალიანაც მშია და სანამ ის მელაკუდები ოცდაათ თავისიანს არ გაიმეტებენ, ციხიდან არ გამოვუშვებ!

სოფი შიშით აძაგძაგდა, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია:

– პატივცემულო კლარა, მელიების ნაცვლად, ვთქვათ, სამასი თაგვი რომ მოგვერთმია ან ქათმები... მერწმუნეთ, გაცილებით უფრო გემრიელია...

კლარა ჭირვეულად იმეორებდა თავისას:

– არავითარი თაგვები და ქათმები! ოცდაათი მელა და მორჩა! მე არსად არ მეჩქარება, მაგათ იკითხონ.

მერე აძურწულ სოფის დახედა და დაამატა:

– ოცდაათი მელა და თან ყველაზე ლამაზი. ყველაზე ლამაზი ყველაზე გემრიელიც იქნება. ხომ ასეა?!

ეს ბოლო სიტყვები იმგვარი შეუვალობით იყო ნათქვამი, რომ სოფიმ შეპასუხება ვეღარ გაბედა, შიშისაგან გაათკეცებული თავაზიანობით დაემშვიდობა გველეშაპს და ისე ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხია უკან, რომ თავის ბოლო დაქნევასთან ერთად აფრენილიყო კიდეც და გასცლოდა იქაურობას.

ყვანჩალა, რომელიც გალავნიდან თვალს ადევნებდა ამ წარუმატებელ

ელჩობას, ჰაერში შეეგება გამობრუნებულ ბუს და სოფის საგრაფო დარბაზში შეფრენისთანავე, თავის ჩვეულ ადგილზე მოკალათდა სარკმელში.

სოფი ისე მოცელილივით დაეშვა დე ლა მელას ტახტის წინ და ისე უხერხულად ჭუტავდა თავის დიდრონ თვალებს, რომ ცხადი იყო – სასიკეთოს ვერაფერს იტყოდა.

სიჩუმე ისევ დე ლა მელამ დაარღვია:

– თქვი, ჩვენზე ფიქრით ძილგამკრთალო დაო, თქვი, რა ამბავი მოგიტანია?!

– ოო, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ბუთა მოდგმის მფარველო და კეთილო მეგობარო! საზარელი ამბავი უნდა შეგატყობინოთ!

დარბაზს კუდების ცახცახმა დაუარა. უძრავად ისხდნენ მხოლოდ დე ლა მელა და მისი რამდენიმე ძველი თანამებრძოლი. მართალია, ამ უკანასკნელთ კუდები საერთოდ არ ჰქონდათ, თავის დროზე სევასტისა და სოფლის ძაღლებს მოეჭამათ, მაგრამ რომ ჰქონოდათ, ნამდვილად არ ააცახცახებდნენ.

– გვაუწყე ჩვენი უბედურების ამბავი, ქალბატონო სოფი, ნუღარ აყოვნებ! – კვლავ მიმართა დე ლა მელამ სტუმარს და თვალებმოჭუტულმა გადახედა დარბაზს.

სოფიმ ჯერ დინჯად და დაწვრილებით აღწერა გველეშაპის გარეგნობა და მათი საუბრის შინაარსი, ბოლოში კი წამოენთო და წამოიძახა:

– გველეშაპი ღელავს!

ოცდაათი მელა,
თან ლამაზი ყველა,
უნდა შესაჭმელად!

– რა დროს ლექსებია, – ჩაიქირქილა დე სუნსულიომ.

დე ცუნცულიომ შეპასუხება არ დააყოვნა:

– დიდად სამწუხაროა, როდესაც ზოგიერთს არ ესმის, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ძალა სწორედ ასეთ წუთებში ვლინდება!

დარბაზში მოულოდნელი კისკისი გაისმა. კუდმოჭმულებმა უკმაყოფილოდ გადახედეს შორეულ კუთხეში შეყუჟულ მბზინვარექურქიან ლამაზმანებს, დე ლა მელას ნება-სურვილის თანახმად, ფრეილინებად რომ იწოდებოდნენ. ფრეილინებმა დამნაშავედ დახარეს თავი, მაგრამ

წამწამებქვეშიდან ისე ეშმაკურად აციმციმებდნენ თვალებს, რომ დე ლა მელასაც კი ულვაშებში ჩაეცინა – ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ კუდფაფუკა ცუღლუტებმა სასახლის ყველა საიდუმლო იცოდნენ – ისიც, თვითონ ჩუმ-ჩუმად ლექსებს რომ წერდა, და ისიც, ვის უძღვნიდა ამ ლექსებს...

ამასობაში კუდების ცახცახიც შეწყდა და მელათმთავარი მიხვდა, რომ სწორედ ახლა უნდა გაეცა პასუხი სოფისათვის.

– მაშ, ოცდაათი მელა, თან ლამაზი ყველა, უნდა შესაჭმელად?! ვერ მივართმევთ, ვერა! – ეს დაბოლოვება ისეთი მჭექარე ხმით წარმოითქვა, რომ დარბაზმა ერთბაშად იქუხა.

ზიტა, რომელიც მოულოდნელობისაგან კინაღამ გადმოვარდა სარკმლიდან, ცალკეულ შეძახილებსღა არჩევდა: „გრაფს გაუმარჯოს! ვაშაა!, „დე ლა მელა – გაგვიძეხი ყველას!“, „ძირს მზაკვარი გველეშაპი!“ და ასე შემდეგ.

ეს საომარი ყიჟინა რომ ჩაცხრა, დე ლა მელამ კილო იცვალა:

– ღრმად პატივცემულო კუდგრძელებო და უკუდონო, ქალბატონო სოფი და თქვენც, ქალბატონო ზიტა, კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს გასაჭირს ყვირილით არაფერი ეშველება. ჯობს, თითოეულმა ბრძენთა-განმა გამოთქვას თავისი აზრი.

დე სუნსულიომ გაბადრულმა გადახედა დარბაზს. ემჩნეოდა, რომ ხსნის გზა ნაპოვნი ჰქონდა. ეს გზა სევასტისაკენ მიდიოდა – „შევურიგდეთ და გვიშველისო“.

დე ცუნცულიომ, რაღა თქმა უნდა, ბომბოკოსაკენ აიღო გეზი – „თუკი სამომავლოდ ბომბოკოს თაფლს შევპირდებით, ახლა გასაჭირისაგან გვიხსნისო..“.

კუდმოჭმულთა აზრი უკუდოთუხუცესმა მელენტიმ გამოთქვა: „ჩვენ, მისი კუდუბრწყინვალესობის ძველ თანამძრომელებს, თუმცაღა, კუდები არ შეგვრჩა სევასტისთან და სოფლის მზაკვარ ძაღლებთან ორთაბრძოლაში, მაგრამ გულები, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, საგულესა გვაქვს, – აქ მან ხმას აუწია, – ამიტომაც, ჩვენი საერთო გადაწყვეტილებაა – ომი და მხოლოდ ომი!“

დე ლა მელამ რატომღაც სასახლის თავანს ახედა და მელენტის შემპარავი ხმით ჰკითხა: – „საომარი გეგმა თუ გაქვთო?“



სოფლის ძაღლები

– საომარი გეგმა ერთ კვირაში თქვენი კუდუბრწყინვალესობის წინ გაიშლებაო, – გაიჯგიმა მელენტი და ღირსებით აღსავსე თავდახრით დაასრულა თავისი სათქმელი.

– გნომებისათვის ხომ არ გვეკითხა რჩევა, – სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა სოფიმ. დე ლა მელას არაფერი უპასუხია, მაგრამ ისეთნაირად იქნევდა თავს, ეტყობოდა, ეს აზრი ყველაზე მეტად დაუჯდა ჭკუაში.

ის-ის იყო, დე ლა მელას საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა, წინ ბებერი მელათმწიგნობარი და ალქიმიკოსი მელკიბიადესი აეტუზა. აცახცახებულ თათებში ობმოკიდებული ტყავის გრაგნილი ეჭირა. ეტყობოდა, რომ ღელავდა და რაღაც დიდმნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, მაგრამ გრაფის ნებართვის გარეშე ვერ ბედავდა.

გაქუცულკუდიანი მეცნიერის მიუპატიჟებლად ტახტის წინ გამოჩენა, როგორც ჩანს, საგრაფო კარზე მიღებული რომელიღაც წესის დარღვევა იყო, მაგრამ დე ლა მელამ თვალებით ანიშნა ბალანაბურძგნილ სასახლე-



მელიალქუცნიერი
მელკიბიადესი

თუხუცესს, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა და მელკიბიადესს ღიმილით მიმართა:

– დიდო ალქიმიკოსო! აი, ახლა კი მოგეცა საშუალება, მთელი შენი ცოდნა გამოამჟღავნო. ჩაუჯექი შენს სინჯარებს და ერთ კვირაში, სანამ გულადი კუდმოჭმულები საომარ გეგმას გაამზადებენ, ხელოვნური ვარიები გამოიყვანე! ხომ შეძლებ? იცოდე, უკანდასახევი გზა არა გაქვს! ერთ კვირაში ციხე სიმაგრის ყველა თაგვი შეჭმული იქნება და მხოლოდ შენი ვარიების იმედითღა უნდა ვიარსებოთ!

კარისკაცებმა მლიქვნელურად ჩაიხითხითეს, მაგრამ მელკიბიადესს ეს აინუნშიაც არ ჩაუგდია. დე ლა მელას არ აცილებდა თვალს და მხოლოდ მას მიმართავდა:

– თქვენო კუდუბრწყინვალესობავ! როგორც კი ბრძენმა ქალბატონმა სოფიმ ეს საზარელი ამბავი მოგვიტანა, მე გნომების ბიბლიოთეკას მივაშურე და იქ, ძველისძველ ხელნაწერებში ერთი ეტრატი ვნახე, რომელშიც საოცარი რამ წერია...

– მაინც რა წერია? – ჩაეკითხა დე ლა მელა.

– გველეშაპი ხორცს არ ჭამს, გრაფო, მენდეთ... მხოლოდ ბალახს... აი, აქ წერია, ამ ეტრატზე. ჩანახატიც არის...

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. მელკიბიადესს გარკვევით ესმოდა მისი მისამართით ნათქვამი: „გამოჩერჩეტებული ბებერი“, „კუდგაქუცული შარლატანი“, „არამკითხე ცრუ-მეცნიერი“... ამის გამო დაიბნა და აიძურწა, მაგრამ თავისას მაინც არ თმობდა: „მე ყველა გველეშაპს როდი ვგულისხმობ, ქალბატონმა სოფიმ რომ აგვიწერა, მხოლოდ იმაზე ვამბობო“. შემდეგ სოფის გრაგნილი გაუშალა წინ: „ხომ ჰგავსო?“ – ჩაეკითხა.

– შეიძლება, კიდევაც ჰგავს, – ფრთები აიჩეჩა სოფიმ, – მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ გეტყვით, ხომ იცით, დღისით რა ცუდად ვხედავო.

გრაგნილმა მთელი დარბაზი შემოიარა. რაღა თქმა უნდა, უფროს-უმცროსობის დაცვით, მაგრამ ყველამ დაათვალიერა გველეშაპის სურათი და მინაწერი.

ის-ის იყო, გრაგნილი კვლავ მელკიბიადესს უნდა დაბრუნებოდა, ზევიდან ჩხავილი გაისმა და სარკმელში ყვანჩალა ზიტა გამოჩნდა.

– თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, – ჩამოსძახა მან დე ლა მელას, – მაპატიეთ, რომ დაუკითხავად ვერევი თქვენს საქმეებში, მაგრამ ქვის გული ხომ არა მაქვს? ვიდრე აქ ბჭობდით, მე გნომებთან გადაფრენა მოვასწარი და მათი პასუხიც მოგიტანეთ.

დე ლა მელამ ზიტას ახედა, მერე სოფიზე გადაიტანა მზერა და თითქოს მისგან რაღაც უხმო დასტური მიიღოო, ყვანჩალა დარბაზში შემოიპატიჟა:

– ჩამოფრინდით, ქალბატონო ზიტა, აქ თქვენ კბილს არავინ გახლებთ. რაც უნდა მოშიებულნი ვიყოთ, თქვენგან ისე დავალებულნი ვართ, რომ...

– ცუდი ამბავი რომ მოვიტანე, გრაფო?! – ხმა ჩაუვარდა ზიტას, მაგრამ ტახტის წინ მაინც დაფრინდა.

– რითაც დაგვეხმარეთ, იმისთვისაც მადლობელნი გახლავართ... მაინც, რა თქვეს ასეთი გნომებმა?

– არაფერი შეგვიძლიაო, ჩვენი ჯადოქრობა მხოლოდ ამ ტყის ბინადრებზე ვრცელდებაო და ის გველეშაპი კი ცხრა მთას იქიდანაა გადმოხვეწილიო... მისი აქ გამოჩენის ამბავი თქვენზე ადრე გავიგეთ და რომ შეგვძლებოდა, როგორ არ დაგიხსნიდით, თვითონაც ხომ შიმშილი მოგვიწევსო... – ქვითინით ჩაამთავრა ზიტამ ეს მართლაც უნუგეშო ამბავი.

დე ლა მელას არასოდეს ენახა მტირალი ყვავი, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და ზიტას კვლავინდებური სიმშვიდით მიმართა:

– ჩემო ზიტა, ჩვენ დიდი გასაჭირი გვადგას, მაგრამ სატირალი მაინც არაფერი გვაქვს. ნუ მივცემთ ცუდ მაგალითს ახალ თაობას (აქ დე ლა მელამ ნაძალადევი ღიმილით გადახედა ფრეილინებს და შემდეგ კვლავ

ყვავს მიუბრუნდა): – დიახ, სატირალი არაფერია, დასაფიქრებელი კი – ბევრი. ვთხოვოთ ქალბატონ სოფის, კიდევ ერთხელ აგვიწეროს გველეშაპთან შეხვედრა. რაიმე წვრილმანი ხომ არ გამოგრჩათ?.. ისე აღელვებული ბრძანდებოდით... ბალახს ხომ არ ძოვდა, თქვენ რომ მიფრინდით?

– ბალახს? – ჩაეკითხა სოფი, – არა, ბალახს ნამდვილად არ ძოვდა. საერთოდ, არაფერს არ ჭამდა, თვლემდა. შეიძლება იმიტომაც არ ჭამს, რომ ცუდ გუნებაზეა... უკვე დიდი ხანია, რაც მშობლებს გამოექცა, სულ მარტოდმარტოა და ტირის... ისე, მგონია, სულაც არ არის ბოროტი არსება... მაგრამ მელიებს რომ მოითხოვს?

– იმიტომაც მოითხოვს, რომ მელიათმჭამელია და მოშიებული! – წამოიძახა მელენტიმ და ნიშნის მოგებით გადახედა მელკიბიადესს.

– ნუ განვაახლებთ კამათს, – შემრიგებლური კილოთი თქვა დე ლა მელამ, – მერე წამით ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა: – ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, თუ არ ჭამს, რა ჯანდაბად უნდა ოცდაათი მელა?

– მე ვიცი... – წაიკნავლა ერთ-ერთმა ყველაზე კუდფაფუკა ფრეილინამ და იმავე წამს ცხვირი ჩამალა გვერდზე მდგარი მეგობრის ბეწვში.

– ბრძანეთ, მადმუაზელ, ახლა თქვენს ხელთაა ჩვენი ბედი! – მიმართა ეშმაკურად გაღიმებულმა დე ლა მელამ. მერე, როდესაც შენიშნა, რომ ფრეილინამ სულ ჩაიკმინდა ხმა, უფრო სერიოზულად გაუმეორა – გისმენთ, რენატა!

აღელვებული რენატა მარაოსავით იქნევდა ფაფუკ კუდს, მაგრამ უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა.



– დიახაც, ვიცი! გველეშაპი გაუთხოვარია და სულ მარტოდმარტოა... ხომ თქვით, რომ გაუთხოვარია? – ჩაეკითხა რენატა სოფის. სოფიმ უხმოდ, თავის დაქნევით დაუდასტურა.

– რა შუაშია გათხოვილი და გაუთხოვარი?! – ჩაერია დე ცუნცულიო.

– იმ შუაშია, რომ... – წამოიწყო დე სუნსულიომ და უმწეოდ გადახედა რენატას, რადგან მართლაც არ იცოდა, რა შუაში იყო, და წინადადებას ვერ ამთავრებდა. ისევ რენატამ უშველა:

– დიახ, იმ შუაშია, რომ მარტოდმარტოა და კუდის სწორს ეძებს... კუდი ხომ გრძელი აქვს? – კვლავ ჩაეკითხა სოფის და ისევ უხმო დასტური მიიღო. – აბა, როგორ გათხოვდება, თუკი ვინმეს თავი არ მოაწონა, – განაგრძობდა რენატა, – თავის მოწონება კი მარტო ჩვენნაირი ფაფუკი ბეწვით შეიძლება... ჰოდა, ყელსაბურავი უნდა გაიკეთოს ჩვენგან... ჩვენც რომ მასე შიშველ-ტიტვლებს გვერბინა და თაყვანისმცემელი არავინ გვყოლოდა, შეიძლება, ჩვენც კი გავმწარებულიყავით...

დარბაზი ისევ აჩოჩქოლდა: „სისულელეა“, „სად სიყვარული და სად გველეშაპი“, „შეჭმა უნდა, შეჭმა უნდა“, „სიყვარული ყოვლისშემძლეა“, „თვითონ რენატა რაღაზეა გაუთხოვარი?“ – მოისმოდა საერთო ხმაურში.

დე ლა მელამ წყრომის ნიშნად კბილები დააღრჭიალა – „გაჩუმდითო!“ — და სუნსულიო-ცუნცულიოს წყვილს მიაჩერდა.

ბარონ დე სუნსულიოს აზრით, გამოდიოდა, რომ რენატა მართალია და სიყვარული ყოვლისშემძლეა, მაგრამ გველეშაპს მელიების შეჭმა უნდა.

ბარონი დე ცუნცულიო ამტკიცებდა, რომ რენატა ცდება და გველეშაპისათვის ისევე უცხოა სიყვარულის ამამაღლებელი გრძნობა, როგორც ხორციელი სიყვარული.

– თუ ხორცისადმი სიყვარული? – ჩაეკითხა თვალებმოწკურული მელათმთავარი.

– დიახ, დიახ, ხორცისადმი სიყვარული, – მყისვე დაეთანხმა ბარონი.

– მაშინ, რაღაში სჭირდება ეს მელიები?

– გასართობად, მხოლოდ გასართობად, ხომ თქვეს, მოწყენილიაო, – სხაპასხუპით ჩაამთავრა წინადადება დე სუნსულიომ და თვალები აარიდა დე ლა მელას.

„ურისკაცი"

უკუდოთუხუცესმა მელენტიმ, რომელსაც, წესის მიხედვით, ბარონების შემდეგ ერგებოდა სიტყვა, მჭახე ხმით წარმოთქვა კუდმოჭმულთა აზრი:

– თქვენო კუდუბრწყინვალესობავ! ლაპარაკი სიყვარულზე იქ, სადაც წყდება სამელიეთის ბედ-იღბალი, ჩვენი კუდების ხსოვნის შეურაცხყოფად მიგვაჩნია და მოვითხოვთ, რათა მადმუაზელ რენატამ საჯაროდ ბოდიში მოიხადოს!

დე ლა მელა წამით შეცბა, მაგრამ მაინც არ დაბნეულა და შემრიგებლური გეზი აიღო:

– სინიორებო! თქვენი რაინდული წარსული გაიხსენეთ! განა თქვენ არ ებრძოდით კუდგამეტებით სევასტისა და იმ დაუნდობელ ფოქსტერიერებს – ფანის, ფანფანსა და ფანდორს? ვის შერჩა გამარჯვება?! შენ არ იყავი, მელენტი, სევასტის რომ შეატოვე კუდი, რათა რენატას დედა გადაგერჩინა?! ან შენ, შეუპოვარო მელიარეს, შენ არ გადაიკვნიტე ხმის ამოუღებლად ხაფანგში მოყოლილი კუდი?! ახლა რაღა დაგემართათ?! სად გაქრა თქვენი რაინდობა?! მადმუაზელ რენატა იქნებ, მართლაც ცდება, მაგრამ მოდით, ნუ დავწამებთ მას მკრეხელობას და ნუ შევუღრენთ... შეხედეთ – რა ახალგაზრდა და რა მშვენიერია. აბა, ვინ უნდა იოცნებოს სიყვარულზე, თუ არა მან და მისმა მეგობრებმა?!... ჩვენ კი, უფროსმა თაობამ, კვლავ სახელმწიფო საქმეებზე ვიფიქროთ, – სული მოითქვა დე ლა მელამ და დასტურისათვის, რატომღაც, სოფის მიუბრუნდა, – ასე არაა, ქალბატონო სოფი?

სოფიმ ისედაც ფართოდ დაჭყეტილი თვალები კიდევ უფრო დაჭყიტა და საკმაოდ ხმამაღლა, დამარცვლით წარმოთქვა: – მე ვფიქ-რობ, რომ მად-მუა-ზელ რე-ნა-ტა მარ-თალს ამ-ბობს!

დარბაზი გაისუსა მელათმთავრის გადამწყვეტი სიტყვის მოლოდინში და ის-ის იყო, დე ლა მელამ რაღაცის თქმა დააპირა, ზიტა აჩხავლდა:

– ვიდრე რამეს გადაწყვეტდეთ, კუდფაფუკებო, უნდა გითხრათ, რომ ამას წინათ აქ ჩამოფრენილი იხვებისაგან გავიგონე – ვიღაც ყმაწვილი

გველეშაპი ცხოვრობს აქედან ერთი კვირის საფრენზე, სრუტის გადაღმა ნისლიანი კუნძული რომაა, იქო... ტბაში დავინახეთ, მარტოდმარტო ცურავდაო... უზარმაზარი და საშინელი შესახედავიაო...

– ეგება გვეშველოს და ითხოვოს ეს ოჯახდაქცეული ყელსაბურავის გარეშე, – აღმოხდა დე ლა მელას.

კარისკაცები ხმას არ იღებდნენ. სუნსულიო-ცუნცულიოს უკვე აღარ ახსოვდათ, თავდაპირველად რა აზრი გამოთქვეს, და ახლა ენაზე დაეჭირათ კბილები. კუდმოჭმულები რიგრიგობით მომნუსხავად აშტერდებოდნენ რენატას, სოფის და ზიტას. ვეტერანები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გრაფი აშკარად ტყუვდებოდა, და არ იცოდნენ, ღირდა კამათის თავიდან წამოწყება თუ არა.

მელაკუდებში გაშინაურებული ყვანჩალა კი არ ცხრებოდა და სხაპასხუპით გაიძახოდა: „მე ზიტა არ ვიყო, თუ ხუთ დღეში სამახარობლო ამბავი არ ჩამოგიტანოთ! თქვენ ჯერ ნამდვილი ყვავი არ გინახავთო...“

ზიტა კიდევ რაღაცის დაყოლებას აპირებდა, მაგრამ გრაფის გამომცდელ მზერას წააწყდა და უცებ დადუმდა.

– ქალბატონო ზიტა, თქვენ მართლა შეგიძლიათ, ხუთ დღეში ჩამოგვიტანოთ ზღვისგადაღმელი სასიძოს ამბავი? – შეეკითხა დე ლა მელა ყვავს ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მისთვის.

ზიტამ ენაზე იკბინა – ან როგორ უნდა ეფრინა ხუთ დღეში ერთი კვირის საფრენი, ან ამდენი ხნით ვის იმედად ტოვებდა თავის ახლადგამოჩეკილ ბახალებს?.. – სოფიმ, თითქოს საფიქრალს მიუხვდაო, ყვავს გა-

ზიტას ბახალეში

დაულაპარაკა: „ბარტყებზე ნუ ფიქრობ, ერთი ბუმბულიც არ დასცვივდებათ, საჭმელსაც არ მოვაკლებო“. – ეს სიტყვები ისეთი გულდაჯერებით იყო ნათქვამი, რომ არც ერთი დედა არ შეიტანდა ეჭვს მათ სიწრფელეში.

– მაშ, მშვიდობით ფრენა ვუსურვოთ ჩვენს პატარა მხსნელს! – თქვა დე ლა მელამ და ზიტასკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ყვავი ტყვიასავით ავარდა ზევით. ეს დაუმშვიდობებელი გაფრენა საქმის გადაუდებლობით იყო ნაკარნახევი თუ უნდობლობით, არავინ იცოდა, ოღონდ ძალზედ სასაცილო კი იყო და მელიები ერთიანად ახარხარდნენ... თვით სერიოზულზე სერიოზული ვეტერანებიც კი იცინოდნენ...

დე ლა მელამ შემთხვევით ისარგებლა და კუდმოჭმულების გულის მოსაგებად პირველად სწორედ მათ მიმართა:

– გულგაუტეხელო რაინდებო! საომარი გეგმა მაინც გაამზადეთ. ამასთან ერთად, თუ მოიცლით და ახალბედა მონადირეებს ჩვენს ხელოვნურ საქათმეში ავარჯიშებთ, დიდად მადლობელი დაგრჩებით. ახლა კი სადილზე გეპატიჟებით ყველას, – მეზობელი დარბაზის მიმართულებით გაიშვირა თათი დე ლა მელამ, – იმედია, არ დამძრახავთ, მხოლოდ თაგვებით თუ გაგიმასპინძლდებით.

მეხუთე დღე ილეოდა, როდესაც სამელიეთის გალავნის ქონგურზე არაქათგამოცლილი ზიტა შემოჯდა. ამ ამბის გაგონებაზე დე ლა მელამ წამით დაივიწყა ჩვეული სიდარბაისლე და ერთი ნახტომით სასახლის აივანზე აღმოჩნდა.

– ფრთამალო და კეთილშობილო ყვავო! – ასძახა მან ზიტას, – შენნაირ მაცნეს საზეიმოდ უნდა ვხვდებოდეთ დარბაზში, მაგრამ რადგან ყველანი ეზოში ვართ, ბარემ ახლავე გვითხარი – როგორი ამბით ჩამოფრინდი?

ზიტამ ამაყად ასწია ნისკარტი და სადღესასწაულო კილოთი დაიჩხავლა: „სამელიეთი გადარჩენილია!“ ერთი წამი ან, შესაძლოა, წამის მეასედი

დასჭირდა ბეწვბრწყინვალეთა საზოგადოებას, გონს რომ მოსულიყო: „ვაშაა!“, „ზიტას გაუმარჯოს!“ – დაიგრიალეს ქვევიდან მელიებმა. ქონგურზე მჯდარი ზიტა მადლობის ნიშნად წამდაუწუმ ნისკარტს ხრიდა და გრძნობდა, რომ ამგვარი ბედნიერების წუთები აღარ გაუმეორდებოდა, თუნდაც კიდევ სამასი წელი ეცხოვრა...

დე ლა მელას ცივი თვალები ამჯერად სითბოს ასხივებდნენ:

– რაინდულ ფიცს ვდებ, – აივნიდან განაცხადა მელიების გრაფმა, – რომ ამიერიდან ჩვენი ტყის ყვავები კბილშეუხებელნი იქნებიან სამელიეთის ყველა თაობისათვის. ახლა კი, ჩვენო ფრთამალო მხსნელო, გთხოვთ, დარბაზში შემოფრინდე და დაწვრილებით მოგვიყვე ყველაფერი.

ბუ სოფი სწორედ იმ დროს დაეშვა საგრაფო ტახტთან, როდესაც მელიები უფროს-უმცროსობით ჩამომწკრივდნენ თავიანთი წინამძღოლისა და ზიტას გარშემო. ახლა ყველანი აქ იყვნენ.

ზიტა დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდა, მაგრამ საყოველთაო ყურადღება ძალას უორკეცებდა:

– დიახ, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ვნახე, – აღტაცებული კილოთი განაგრძობდა თხრობას ყვავი, – ნისლიანი დღე იყო, მაგრამ მაინც ვნახე. იქაურმა ყვავებმა მიმასწავლეს. ველაპარაკე კიდეც. თვითონ გველეშაპს ველაპარაკე... ჰენრი ჰქვია. ისიც მარტოდმარტოა, მაგრამ ისეთი მახინჯია, რომ მაგასთან შედარებით ჩვენი კლარა მზეთუნახავი გეგონებათ (ფრეილინებმა მორცხვად ჩაიხითხითეს).

– მაშ, ისიც მარტოა და უარზე არაა, ცოლი შეირთოს? – სულ უფრო და უფრო განცვიფრებული ეკითხებოდა ყვავს დე ლა მელა.

– რაღა თქმა უნდა! რომ იცოდეთ, როგორ გაუხარდა... თურმე ეგონა, რომ სულ მარტოა ქვეყანაზე. რაც დედ-მამა დამეხოცა, გველეშაპი თვალით აღარ მინახავსო...

– ორივე დედისერთა ყოფილა... – ჩაიკნავლა რომელიღაც ფრეილინამ.

– ისეა თუ ასე, მგონი გვეშველა, – შვებით ამოისუნთქა დე ლა მელამ და კვლავ ყვანჩალას მიუბრუნდა: – ყელსაბურავზე თუ ჰკითხე რამეო?

ზიტა, ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

– რად უნდა, თქვენო კუდუბრწყინვალესობავ, ყელსაბურავი, როცა მთელი დღე ტბაში დაცურავს და ცოლიც წყალში უნდა აცხოვროს? მე მხოლოდ კლარას გარეგნობა ავუწერე და აღტაცებული დარჩა. ჩქარა გაფრინდი და აქ ჩამომიყვანეო.

დე ლა მელა შეფიქრიანდა:

– ისე, მაინც კარგი იქნებოდა, რაინდის სიტყვა ჩამოგერთმია, რომ უკან არ გამოაბრუნებს სულმთლად შიშველ-ტიტველ პატარძალს. ვთქვათ და, ეგენი მართლა არ თხოულობენ ცოლს, რამე უცნაური თუ არ აცვია.

– არაფრით არ გამოაბრუნებს. პატარძლის საქმეს კი ჩვენ მოვაგვარებთ არაუგვიანეს ხვალინდელი დილისა, – რიხიანად ჩაერია ლაპარაკში სოფი.

– მაშინ, კუდფაფუკო და ბეწვბრწყინვალე საზოგადოებავ, – მიმართა დარბაზს მელიათა გრაფმა, – ხვალ დილამდე დავიშალოთ და ამ კეთილ-შობილ ფრთოსნებს მივანდოთ ჩვენი ბედი.

სისხამ დილით სოფი და ზიტა ცხვირწინ დაუსკუპდნენ გველეშაპს. კლარას ჯერ კიდევ ეძინა. ძილში კვნესოდა, ვიღაცას ეძახდა. ეტყობოდა, რაღაც მძიმე სიზმარს ხედავდა. რომ გამოეღვიძა, უცებ ვერც კი გაერკვა, სად იყო, და უაზროდ მიაჩერდა შიშით ერთმანეთზე მიკრულ ბუ-ყვავს. როგორც იქნა, კლარა მიხვდა, რომ ეს უცნაური, ოთხთვალა და ორნის-კარტა არსება ორი ფრინველისაგან შედგებოდა და ამათგან ერთ-ერთს იცნობდა კიდეც.

– ააა, თქვენა ხართ, – უხალისოდ მიესალმა სოფის გველეშაპი და ისე გაიზმორა, რომ ზიტა წამსვე უკან გადახტა. ეს უცნაური უკანდახევა გვე-ლეშაპმა ყვავებში მიღებულ მისალმებად ჩათვალა და საპასუხოდ მძიმედ დაუკრა თავი. სოფი, რაღა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა, და ზიტა გვე-ლეშაპს წარუდგინა.

– მადმუაზელ კლარა, გთხოვთ, იცნობდეთ ჩვენს ახლო მეგობარსა და შესანიშნავ ყვავს, ზიტას, – მერე დაამატა: – ახალგაზრდა დედაა. ქალბა-ტონ კლარას, მე მგონი, წარდგენა არც კი სჭირდება...

– მე თქვენ შორიდან გიცნობთ, უფრო სწორად, ზემოდან, – სიტყვა შეანაცვლა ზიტამ, – რომ იცოდეთ, როგორი სასიხარულო ამბავი ჩამოგიტანეთ!

კლარა გამოცოცხლდა: – რა ამბავი? საიდან? მე კი ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე... – აქ ისევ ბუ ჩაერია ლაპარაკში: – ცუდი სიზმარი თუ ნახეთ, ესე იგი ნამდვილად კარგ ამბავს შეიტყობთ!

– თქვენ რა, სიზმრების ამოცნობა იცით? – ჩაეკითხა კლარა.

– როგორ გითხრათ... ძალზე მიახლოებით...

– მაინც, გეთაყვა, რას უნდა ნიშნავდეს... – წამოიწყო კლარამ და უცებ ხმა ჩაუწყდა, უზარმაზარი თვალები ცრემლით აევსო, – არა, ამ სიზმარს ვერ მოვყვები...

– თქვენი ნებაა. ჩვენ კი მართლა კარგი ამბები გვაქვს, – გაამხნევა სოფიმ დადარდიანებული გველეშაპი.

კლარა მართლაც მალე დამშვიდდა და მიაჩერდა ახლა უკვე დაცალკეევებულ წყვილს: – მაინც რა ამბები გაქვთო?

– ჩვენი ზიტა ზღვისგადაღმელ ქვეყანაში გადაფრინდა და იქ საქმრო აღმოგიჩინათ! ახალგაზრდა, ულამაზესი, საკუთარი ტბა აქვს, ჰენრი ჰქვია... აი, უკვე მესამე დღეა ნაპირზე ზის, არაფერს არ ჭამს და თქვენ გელოდებათ.

– მართლა? საქმრო?! – ხმა აუკანკალდა კლარას, – მელის?! რომ არ მიცნობს? ვთქვათ და, არ მოვეწონე?

– რას ბრძანებთ! რაინდის სიტყვა! ჩვენს დროში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა! – ეჭვმიუტანელი კილოთი განაცხადა ზიტამ და დაამატა: – პასუხს მე ვაგებ!

– როგორ აგებთ? – გულწრფელად გაიკვირვა კლარამ, რადგან მართლა ვერ წარმოედგინა, რა პასუხი უნდა მოეთხოვა ცხრა მთას იქით გადაკარგული ყვანჩალასაგან.

– დიახაც ვაგებ, – არ ცხრებოდა ზიტა, – მთელი ჩემი ღირსებით... მე თქვენი გულისათვის ხუთი დღე-ღამე ვიფრინე, შვილები დავტოვე, – ხმა აუთრთოლდა ყვავს.

კლარას გული მოულბა და ეუხერხულა, ასე რომ ააღელვა ეს პატარა და უმწეო არსება.

– კარგით, თანახმა ვარ! მაგრამ როგორ წავიდე, როცა გზაც არ ვიცი და ყელსაბურავიც არა მაქვს?

სოფი გაშრა.

– ქალბატონო კლარა! ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ. ზიტამ გზადაგზა გააფრთხილა თავისი მეგობრები, თავდაპირველად თვითონ გაგიძღვებათ, მერე ისინი გაგაცილებენ.

– ყელსაბურავის გარეშე მაინც არ წავალ, – თავისას არ იშლიდა კლარა, – ისხდნენ იმ თავის ცხრაკლიტულში, ბოლოს და ბოლოს, ხომ მოშივდებათ...

აქ ზიტამ გამოიდო თავი: მადმუაზელ! ყელსაბურავზე არც კი იფიქროთ! სერ ჰენრის რომ ვუხსენე, კინაღამ მომკლა. მელიის ბეწვზე თურმე ისეთი ცემინება უტყდება – ტბა ნაპირებიდან გადმოდის...

კლარა თვალებში მიაჩერდა ყვავს, – ხომ არ მატყუებსო? – მაგრამ ზიტამ ისე თვალდაუხამხამებლად გაუსწორა მზერა, რომ მიამიტმა კლარამ ირწმუნა, ალბათ მართლაც ვერ იტანს ის ჰენრი ბეწვეულსო...

შორი მგზავრობისათვის მზადებას დიდი დრო არ დასჭირვებია. კლარა აშკარად ღელავდა და წამდაუწუმ სთხოვდა ყვავს, კიდევ ერთხელ შემომიფრინე ირგვლივ, როგორ გამოვიყურებიო? სოფის აღარაფერს ეკითხებოდა, რადგან ენაჭარტალა ზიტას წამოსცდა, ბუები დღისით ვერაფერს ვერ ხედავენო.

ის-ის იყო, სამზადისს მორჩნენ, გაწვიმდა კიდეც და ყვავ-ბუ-გველეშაპისაგან შემდგარი პროცესია გზას გაუდგა. სწორედ ასეთი თანამიმდევრობით მიდიოდნენ: წინ – სკუპ-სკუპით – ზიტა, მერე – ბაჯბაჯით – სოფი და ბოლოს – ზლაზვნით – კლარა.

სოფის ფორთხიალს რომ უყურებდა, კლარამ შესთავაზა: მაინც მდელოს ბოლომდე მაცილებ და, რას წვალობ, ზურგზე შემაჯექიო, მაგრამ ბუმ სასტიკად იუარა, პატარძალს ტვირთის ზიდვა არ შეშვენისო!

როდესაც დე ლა მელას ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ, სოფიმ პირველად ინანა, რომ დღისით ასე ცუდად ხედავდა – რაღა თქმა უნდა, სამელიეთი ახლა უკლებლივ გალავანზე იქნებოდა გამოფენილი მთელი თავისი ბრწყინვალებითა და სილამაზით.

სანახაობა, მართლაც, იშვიათი იყო, მაგრამ მთლად ისეთი არა, სოფის რომ წარმოედგინა: გაწუწული, ცნობისმოყვარეობით კიდევ უფრო ცხვირწაგრძელებული მელიები ქონგურებს შორის ჩაკვეხებულიყვნენ და გამალებით იქნევდნენ სველ კუდებს. მხოლოდ დე ლა მელა იდგა მარტოდ-

მარტო, ქონგურსა და ქონგურს შუა და მდუმარედ დაჰყურებდა, როგორ ათავისუფლებდა გველეშაპი ჩამოსაშვებ ხიდს და ამის შემდგომ როგორ გაუდგა გზას უცნაური სამეული.

ძნელი იყო მიხვედრა, რაზე ფიქრობდა ახლა მელიათა წინამძღოლი – უხაროდა, ასე იღბლიანად რომ დამთავრდა ესოდენ სახიფათო ამბავი თუ სწყინდა, რომ ცხოვრება ისევ უბრუნდებოდა თავის ჩვეულ კალაპოტს – ქათმების პარვით, სევასტისთან და სოფლის ძაღლებთან გაუთავებელი მტრობითა და სასახლის მითქმა-მოთქმით...

წვიმდა... კლარა ნელა მიაბიჯებდა. ეშინოდა, შემთხვევით სოფისათვის ფეხი არ დაედგა. გაწუწული მელიების დანახვამ რატომღაც გული მოუკლა და დილანდელი სიხარული გაუნელა. ახლა ვერც კი წარმოედგინა, რატომ დაამშვენებდა წვიმისაგან მბზინავ მის სხეულს ოცდაათი მელიის გალუმპული ტყავი ან რა ყურთასმენა გაუძლებდა გალავანზე გადმომდგარი მელიების სასოწარკვეთილ ღნავილს, კლარას ახლა მათ თვალწინ აჩემებული სამკაულით რომ გაევლო... „რა ბედნიერებაა, ჰენრი მელიის ბეწვზე ცემინებას რომ იწყებსო“, – გაიფიქრა, ვეება, სველი თავის მოქნევით მოიცილა თვალზე მომდგარი ცრემლი და გზა განაგრძო.



ბაბთა

„ბაბთა“ რას ნიშნავს?
– „ბუსუნსულების ასოციაციის ბავშვებთან
თანადგომის აქცია“.
– ეს ბუსუნსულები ვინღა არიან?!
– ბუსუნსულები როგორ არ იცი?! უსაყვარლესი
არსებებია – ცოტა ეშმაკუნები, ცოტა მიამიტები.
რაც მთავარია, უბოროტონი.“

ყურმოკრული საუბრიდან.

ბუსუნსულების ასოციაციის საერთო კრება ღვაწლმოსილმა ნაგაზმა ბუსომ გახსნა.

– პატივცემულო მხეცებო! – ვინ აცალა: „თვითონ ხარ მხეცი, ჩვენ ბუსუნსულები ვართ!“

– კოლეგებო!

– ამას სადღაც სხვაგან ჰგონია თავი, ხომ გითხრეს, როგორ უნდა მოგვმართო? იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ რომელიმე ჩვენგანი სინამდვილეში ბუსუნსულა არ არის?! – აწიკვინდა ტურა კოშმარინა.

ბუსომ ამოიოხრა და, ბედთან შერიგებულმა, თავიდან დაიწყო თავისი შესავალი სიტყვა: „ძვირფასო ბუსუნსულებო! გთხოვთ, საშუალება

2001 წლის თებერვალში ეს ლიტერატურული ზღაპარი აღინიშნა პირველი პრემიით გაეროს ბავშვთა ფონდის („იუნისეფის“) მიერ გამოცხადებულ, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა კონკურსზე.

მომცეთ ვთქვა ჩემი სათქმელი. მით უმეტეს, ის, რისი თქმაც მე მინდა, ყველა თქვენგანს ეხება.

დავიწყებ ერთი აფორიზმით, რომელიც პატივცემულმა კუ ზიგლინდამ წარმოთქვა ადამიანებზე ორმოცწლიანი დაკვირვების შედეგად: „– ნეტავ როგორ გამოდის ამდენი კარგი ბავშვისგან ამდენი ცუდი ძია?!“ (ზიგლინდამ, გაამაყებულმა და ნასიამოვნებმა, რამდენზეც კი შეეძლო, თავი გამოყო თავისი ბაკნიდან).

კატა აგნესამ წაიკნავლა: – ზუსტად ისე ხდება, ჩემო ბუსო, როგორც თქვენთან – ძაღლებთან: საყვარელი ლეკვებიდან ავი ნაგაზები რომ გამოდიან!

ბუსომ ყური არ შეიბერტყა: – მოკლედ, ასეა თუ ისე, ამ „ცუდ ძიებს“ რა დღეში ვყავართ, კი ხედავთ; ნუ გეშინიათ, არც ბავშვებისთვის იკლავენ თავს (საკუთარი თუ არაა, ცხადია). სუსტი ყოველთვის დაჩაგრულია. ახლა ჩვენ დავეხმაროთ ბავშვებს და მომავალში ისინი გადაგვიხდიან სიკეთით. რა, ცუდი აზრია?!

– რითი შეგიძლია დაეხმარო, „ცუდი ძიები“ დაკბინო თუ რა?! – ცოტა არ იყოს, დამცინავად ჩაეკითხა ბუსოს იხვი ჭიჭიკო. ბუსომ სიტყვა აიტაცა და განაგრძო, – თუ საჭირო იქნება, დავკბენ კიდეც, მაგრამ, სანამ საქმე დასჯამდე და კბენამდე მივიდოდეს, ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ვსჯით და რისთვის. ეს ჯერჯერობით არც ჩვენ ვიცით და არც ბავშვებმა იციან წესიერად. ჰოდა, სწორედ მაგიტომ შეგკრიბეთ.

მე რომ ვდარაჯობდი „გაეროს“ ბავშვთა ფონდს, სწორედ იმათი გამოშვებულია „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ – სხვათა შორის, ჩვენმა კოლეგამ და მეგობარმა შიმპან-ზუკომ ნაწილობრივად დაასურათა კიდეც. გადავხედოთ, ბავშვებსაც ვანახოთ და ავუხსნათ. თუ რამე გაუგებარია – აგერ არაა პატივცემული ამბაკო? მაგისთანა გამოცდილების თაგვი თუ გეგულებათ სადმე?! ვინ გაგვიწევს უკეთეს იურიდიულ კონსულტაციას?! რაც მაგას სასამართლოს არქივში საქმეები აქვს გადაღეჭილი...



ბუსუნსულები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ. შიმპან-ზუკომ სასწრაფოდ გაშალა დაგრაგნილი ტრანსპარანტი ზიგლინდას გამონათქვამით და თავისი ორი ნახატით – „საყვარელი ბავშვები“ და „ცუდი ძიები“.

ცოტა ხნის შემდეგ ტრანსპარანტი

ხეებს შორის იყო გაჭიმული, ნახატებიც იქვე დაამაგრეს.

ბუსომ ამ მცირე შეყოვნების შემდეგ კიდევ უფრო რიხიანად განაგრძო: – ჩემი უმწიკვლო ბიოგრაფია ხომ ყველამ იცით?!

– ვიცით, ვიცითო!... – ერთხმად უპასუხეს ბუსუნსულებმა.

– აუჰ, ახლა ეს თავიდან მოჰყვება თავის ბიოგრაფიას, – ამოიოხრა ტურა კოშმარინამ. იცოდა, რასაც ამბობდა...

– მე რომ კურკაძეების ოჯახში ვცხოვრობდი, – გადაუხვია ბუსომ თხრობის ძირითად გეზს, – ბავშვებს მთელი დღით მიტოვებდნენ, ძიძაზე უფრო მეტად მე მენდობოდნენ, მაღაზიაშიც მგზავნიდნენ; მაშინ იყო,



წარწერები შესრულებულია ბუსუნსულების ასოციაციის წევრის, თვითნასწავლი მხატვრის *შიმპან-ზუკოს* მიერ

მედლებით რომ დამაჯილდოვეს. მერე „გაეროში“ გადავედი. (“დააწინ-აურეს“ – დააზუსტა რომელიღაც ბუსუნსულათაგანმა). იქ რამხელა დამ-სახურება მქონდა, ამაზე ცალკე უნდა მოვყვე...

– ახლა შენ თუ კიდევ გააგრძელებ მაგ თემას, გავგიჟდები; მოდი რა, ძმურად, აგვიხსენი, რა უნდა გავაკეთოთ? – სიტყვა შეაწყვეტინა ბუსოს თუთიყუშმა პაკომ.

ბუსო განაწყენდა: – ეს ძველბიჭური ტონი ზოოპარკში შეითვისე, თუ რა? კურკაძის ბავშვები იმიტომ ვახსენე, რომ ახლა სხვა ბავშვებსაც უნდა მივხედოთ და ერთად უნდა გავაკეთოთ ეს საქმე. დაუზეპირებია – „ძმუ-რად“, „ძმურად“. არ ვარ მე შენი ძმა...

– შენ ჩვენი პრეზიდენტი ხარ, – ცოტა არ იყოს, დაფრთხა პაკო.

– ჰოდა, თუ პრეზიდენტი ვარ და ეს ასოციაცია მაბარია, მომისმინეთ ცოტა; კარგი საქმისთვის შეგყარეთ აქ, – გახალისდა ბუსო.

ბუსუნსულებიც დაშოშმინდნენ და ახლა უკვე ინტერესით უსმენდნენ, რას მოჰყვებოდა ბუსო მათი მომავალი აქციის შესახებ.

ბუსომ საქმიანი კილოთი განაგრძო: – პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა გავარკვიოთ ბავშვის ცნება (როგორ ემჩნევა საერთაშორისო ორგანიზაცი-აში მუშაობის გა-მოცდილება, – ჩაილაპარაკა ინდაურმა შურთხიამ). – მაშ, ვინ არის ბავშვი?

– მაგას მე გეტყვით, – თავი გამოიდო ვირმა ლენჩომ, – უცთომელი საზომი არსებობს, – შარვლის და კაბის სიგრძე. თუ საერთოდ არაფერი არ აცვია, – ესე იგი, ჯერ სულ პატარაა – ანუ ბალღი; ტრუსებით ან სულ მოკლე კაბით თუ დარბის, – ბავშვია; შარვალს რომ ჩაიცვამს და გრძელ კაბას, ესე იგი, უკვე გაიზარდა, დიდია.

ბუსუნსულები ახმაურდნენ:

– ლენჩო! ბაბუაშენს მაწონი რომ დაჰქონდა ქალაქში იმდროინდელ შთაბეჭდილებებს გვიზიარებ, თუ როგორაა შენი საქმე?! – გაეხუმრა ვირს ტაქსა ავგუსტინა: „ქალაქში ნამყოფი არა ხარ? მოსახლეობის ნახევარი, დიდიან-პატარიანა, კაციან-ქალიანა, შორტების ამარა დარბის, გაარჩიე ახლა, რომელია დიდი და რომელი პატარა“. ლენჩოს შერცხვა, თავი ჩაღუნა და ყურები ჩამოყარა.

– კარგი ახლა, ნუ გააწითლეთ ეს პატიოსანი ვირი, – ჩაერია ბუსო, – მე წაგიკითხავთ ბავშვის ცნების განმარტებას: „ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში“.

– ამბაკო, – მიმართა ბუსომ თაგვს, – ჩვენი კანონმდებლობა რას ამბობს ამის თაობაზე?!

– იმავეს, – ეჭვმიუტანელი კილოთი განაცხადა ამბაკომ.

– კი, მაგრამ, იმ შენი კურკაძეების ბოვში რომ გეიპარა 15 წლისა სახლიდან და გათხოვდა, მაშინ არ იცოდი კანონმდებლობა? – ეშმაკურად ჩაეკითხა ბუსოს კატა აგნესა.

– ჰოდა, მაგიტომაც გამამწესეს „გაეროში“, – ამოიოხრა ბუსომ, – დამეკბინა 16 წლის შტერი სასიძო, თუ რა მექნა?! მაგას კანონი ვერ უშველის, მაგას შეგონება სჭირდება. თორემ დაბადებს ეს ორი ბავშვი მესამეს, მიაგდებენ და გავარდებიან მერე აქეთ-იქით...



ახლა თქვენ გადამახვევინეთ თემას. შემდეგ მუხლსაც წაგიკითხავთ, ეს არაა გამოსატოვებელი: „კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან და მიიღოს ყველა ზომა მისი უფლებების დასაცავად“.

– „დისკრიმინაცია“, „კონვენცია“ – მე არ მესმის და ბავშვი როგორღა გაიგებს, – აქოთქოთდა ინდაური შურთხია: „– ვინ მიიღო ეგ რაღაც კონვენცია?“ – აუხსენი ახლა ამას ყველაფერი თავიდან, – შეწუხდა ბუსო, –

კარგი, ბატონო, ახლა მისმინე ყურადღებით და დაგვიმტკიცე, რომ ინდაურები არავის ჩამორჩებით გონებრივი მონაცემებით. დაგიღეჭავ, მეტი რა ვქნა? ხომ გიყვარს გადაღეჭილი ულუფები? მოკლედ, ასე: ერთ შორეულ სახელმწიფოში, სადაც, სხვათა შორის, ინდაურები დიდ პატივისცემაში ჰყავთ (შურთხია გაიფხორა, გაბერა ჩიჩახვი და ამაყად მიმოიხედა ირგვლივ) ... შენ რომ გულისხმობ, ისეთ პატივისცემაში არა, ჩემო შურთხია, მაგრამ ახლა ხასიათს არ გაგიფუჭებ და ჩემს სათქმელს გავაგრძელებ. მოკლედ, ამ შორეულ და დიდ სახელმწიფოში, ოკეანის გადაღმა, არის ერთი დიდი ქალაქი...

– მე, მე ვიცი, რა ქალაქზეც ამბობ – ნიუ-იორკია! – წაიწრიპინა ამბროსის მეუღლემ, ლამზირამ.

– გეოგრაფიასაც გაუსინჯეთ კბილი, ქალბატონო ლამზირა? – გაეღიმა ბუსოს.

– არა, მამიდაჩემია ნამყოფი.

– ვიზით?

– მაშაყირებ, ბუსო ბატონო? ტრიუმით.

– აბა, მაგარი შთაბეჭდილებებით ჩამოვიდოდა. ნუღარ მაწყვეტინებთ სიტყვას, თორემ დავიბენი უკვე. ჰო, იმას ვამბობდი. ამ ნიუ-იორკში ერთი დიდი შენობაა. ამ დიდ შენობაში კი განთავსებულია „გაერო“ – ანუ „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“. ვერ გაიგებენ ბავშვები ამას? ყველა სახელმწიფოს ჰყავს თავ-თავისი წარმომადგენელი ამ ორგანიზაციაში და, რაც კი საერთო და საჭირბოროტო საკითხებია მსოფლიოში, იქ იკრიბებიან და ერთად მსჯელობენ ამ საკითხების მოსაგვარებლად.

– ჩვენსავით ყოფილან, – დააყოლა კუ ზიგლინდამ.

– ჰო, დაახლოებით, მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი. ამ „გაეროს“ კიდევ აქვს თავისი განაყოფი ორგანიზაციები, ზოგი რას მეურვეობს და ზოგიც – რას. აი, ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ბავშვებს მეურვეობს, არის – „იუნისეფი“. ინგლისურ წიგნებამდე ვეღარ მიაღწიე, ლამზირა? თორემ გვითარგმნიდი – „ნიტედ ჭატიონს ჩჰილდრენ„ს უნდ“ ანუ – „გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი“. სხვათა შორის, ამ „იუნისეფის“ მუშაობაში ბავშვებიც მონაწილეობენ.

– დღეიდან უკვე ბუსუნსულებიც ვმონაწილეობთ, – ტაში შემოჰკრა შიმპან-ზუკომ, – გამოფენას ხომ მომიწყობთ ნიუ-იორკში?



– ოღონდ შენ ხატვა განაგრძე და გამოფენა ჩვენზე იყოს, – დაამშვიდა ბუსომ, – ისევ შემაწყვეტინეს აზრი. რას ვამბობდი? ჰო, ეს „იუნისეფი“ ბავშვების ინტერესებს იცავს უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია. ჰოდა, მაგათ აიღეს და ჩამოწერეს, თითოეულმა სახელმწიფომ, მთავრობამ თუ მოქალაქემ რა უნდა გააკეთოს (ან რა არ უნდა გააკეთოს) იმისათვის, რომ ბავშვები საღად და წესიერად აღიზარდონ.

– კარგი ბავშვებისგან ცუდი ძიები რომ არ გამოვიდნენ არა?

– ჭიჭიკო, ნუ მაწყვეტინებ. ეს ყველაფერი რომ ჩამოთვალეს, ჩამოამწკრივეს, ცალ-ცალკე საკითხებად ანუ მუხლებად დაყვეს და დაარქვეს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“. სიტყვა „კონვენცია“ ახლა როგორღა აგიხსნათ? ვთქვათ: „შეთანხმება ბავშვთა უფლებების დაცვის თაობაზე“. ჰოდა, ამ პატივცემულ „გაეროში“ (აქ მე რომ ვდარაჯობდი კი არა, იქ – „დიდ“ „გაეროში“, ნიუ-იორკში) შეიკრიბნენ ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, წაიკითხეს ეს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, მერე კენჭისყრა ჩაატარეს და ხელის აწევით დაადასტურეს, რომ ყველაფერი, რაც აქ არის ნათქვამი, ამიერიდან ყველა სახელმწიფოსათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს ბავშვების უფლებათა დაცვისათვისო. გასაგებია?

ბუსუნსულებმა თავის კნატუნით გამოხატეს თანხმობა – „ყველაფერი გასაგებიაო“.

ბუსო კრების წამყვანის ეშხში შევიდა – შეკითხვები თუ არისო? სამმა ყვავმა – მაკო-თაკო-ლელა-



კომ ერთდროულად დაიჩხავლეს (ეტყობა, მოლაპარაკებულნი იყვნენ ერთმანეთში) – ჩვენნაირი ასოციაციები თუ არის სხვაგანო? ბუსომ საქმიანი კილოთი, „გაეროში“ მუშაობისას გაგონილი სიტყვების მოშველიებით, უპასუხა: ჩვენი ასოციაციის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსგავსი ორგანიზაცია არსებობდეს რომელიმე ქვეყანაში. შემდგომში შესაძლოა მოგვბაძონ, – ასე რომ, ჯერჯერობით, ძირითადად ყველაფერს მაინც უფროსები აკეთებენ, ოღონდ „ცუდი ძიები“ კი არა, – კარგი ძიები (და კარგი დეიდებიც, ცხადია).

– რას აკეთებენ მაინც, რას? – თავი გამოყო კუ ზიგლინდამ.

ბუსოს შესაძლებლობა მიეცა თავისი „ფართო განსწავლულობა“ გამოევლინებინა და მარჯვედ გამოიყენა ეს საშუალება: – ახლა მე აგიხსნით ბავშვთა უფლებების დაცვის მთელ მექანიზმს, – დაიწყო მან ზეაწეული კილოთი.

– ცოტა ნაკლებ რიხიანად რომ ილაპარაკო და უფრო გასაგებად, უკეთესი იქნება, თორემ ჩვენ თვითონ თუ ვერ გავიგეთ, ბავშვებს რაღას ავუხსნით, ბუსო ბატონო, – მოკრძალებით შენიშნა ყარყატმა წიწოლამ.

– რაა აქ გაუგებარი?! კი, ბატონო, მინიმუმამდე დავიყვან უცხოურ ტერმინთა ხმარებას.

– აჰ, არა, ამას არ ეშველება არაფერი, – ჩაილაპარაკა ზიგლინდამ, – რა ძაღლი დაღუპა უცხოელების მიბაძვამ...

ბუსომ ვერ გაიგონა (ან განზრახ არ გაიგონა) ეს სიტყვები და მონდომე-

ბით დაუწყო ახსნა გარშემო მყოფთ, რა მოიმოქმედეს „კარგმა ძიებმა“ ბავშვთა დასაცავად: ჯერ ერთი, მაგათ აიღეს და, ადრე რომ ვახსენე, ის „ბავშვის უფლებათა კონვეცია“ დაგზავნეს ყველა სახელმწიფოში. ამდენი ბუსუნსულა რომ დარბის, დაფრინავს, დაბობღავს და დაცურავს გარშემო – ჩვენ ხომ იმათი წარმომადგენლები ვართ?! (ბუსუნსულებმა კვლავ უხმოდ გამოხატეს თანხმობა თავის კანტურით). ჰოდა, ქვეყნების უმრავლესობას ამგვარი საბჭოები ჰყავს არჩეული – ზოგან პარლამენტი ჰქვია, ზოგან რა, და ზოგან – რა... ჩვენნაირი საყვარელი არსებანი არა მგონია, იქ ისხდნენ, მაგრამ რაღაცას ხომ აკეთებენ?! ჰოდა, ერთ-ერთი კარგი საქმე, რომელიც მაგათ გააკეთეს, თან – მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში, ის იყო, რომ თავ-თავიანთი ქვეყნებისათვის სავალდებულო გახადეს ეს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“. თუ რომელიმე ქვეყანაში ესა თუ ის კანონი კიდევ უფრო უკეთ იცავს ბავშვს, ვიდრე „კონვენციის“ სათანადო მუხლი, კი, ბატონო, იმ კანონს ენიჭება უპირატესობა; თუ ამ სახელმწიფოს უნდა, რამე დაუმატოს „კონვენციას“ – ამის უფლებაც აქვს. კიდევ ამ სახელმწიფოებმა შექმნეს „ბავშვის უფლებების კომიტეტი“, რომელიც შედგება ათი, მართლა ძალიან კეთილი, კარგი და ჭკვიანი ძიისაგან (შეიძლება დეიდაც იყოს). ათივე თვალს ადევნებს, როგორ იცავენ ბავშვის უფლებებს ამა თუ იმ ქვეყანაში.

– აუჰ, დავიღალეთ, რა, – ამოიგმინა თუთიყუშმა პაკომ, – მოხსენებით გამოდიხარ, ბუსო ბატონო, „გაეროს“ სესიაზე, თუ როგორაა შენი საქმე?!



– ეს დამცინავი ტონი, ჩემო პაკო, შტერი ცისფერი თუთიყუშები რომ გყავთ სამეგობროში, იმათთან გამოგადგება. თავიდანვე ხომ გითხარით, სერიოზულ საქმეზე გიძახით-მეთქი?! გაიზრდებიან ასე უპატრონოდ ქუჩის ბიჭები და ნახავ, ერთ დღეს რომ დაგიჭერენ და გაგპუტავენ; მერე იტრაბახე – „ჩემი ცისარტყელისფერი სამოსი...“ რატომ აღარ მპასუხობ, – რა, ენა ჩაყლაპე?!... აკვარკვალე ახლა ეგ შენი დიდრონი თვალები და იყავი...

– არა რა, ბუსო, მართლა არ გვინდა ეგ ზოგადი რაღაცები, შენ ის გვითხარი, ბავშვებს თავიანთი უფლებები როგორ გავაგებინოთ, – მხარი დაუჭირა პაკოს შიმპან-ზუკომ.

– კარგი, ბატონო, კარგი, – ჩამოგითვლით ყველაფერს, – დაყაბულდა ბუსო, მაგრამ კბილი მაინც გაჰკრა შიმპანზეს: – ზოოპარკში რომ იყავით, ეს პაკო ყოველდღე გაშაყირებდა, და ახლა, ყოჩაღ შენ, რომ მაინც ესარჩლებიო.

– კი, მაგრამ, ბუსო, შენ არ ამბობდი, ნამდვილმა ბუსუნსულამ გულში წყენა არ უნდა ჩაიტოვოს და ღვარძლიანი არ უნდა იყოსო?!

– ვამბობდი, ვამბობდი, – ჩქარ-ჩქარა ჩაილაპარაკა ბუსომ, – ისე, მაინც დიდი ტუტუცი თუთიყუში კი არის და...

– კარგი, განვაგრძოთ, – კვლავინდებური

სერიოზულობით მიმართა ბუსომ მსმენელებს, – ერთი ისეთი საინტერესო მუხლია, „დისკრიმინაცია“ გაგიგიათ?

ბუსუნსულებმა პირები დააფჩინეს. „დისკრიმინაცია“ რა იყო, ნამდვილად არ იცოდნენ, მაგრამ აღიარებაც არ უნდოდათ.

– ჰოდა, მე აგიხსნით, რა არის „დისკრიმინაცია“. აი, შენ, ავგუსტინა! ვთქვათ, წაგიყვანეს ძაღლების გამოფენაზე და ვინმემ ჩაგიარა: „ოოო, რა მშვენიერი ტაქსაა!“ – იტყვის; მერე ფოქსტერიერს მიეფერება; მერე – დოგს. მერე უცებ დაინახავს ქუჩის ძაღლს და – „ამას აქ რა უნდაო?!“ – წაარტყამს ფეხს. აი, ეს არის დისკრიმინაცია – რაიმე გარეგნული ნიშნით ერთს კარგად რომ ეპყრობიან და მეორეს – ცუდად. ამ გახსენებაზე, ავგუსტინა, შენც ხომ არ გჩვევია – კარგად ჩაცმულს რომ გაატარებ და ცუდად ჩაცმულს – შეუყეფ?! – არა, ბუსო ბატონო, როგორ გეკადრება?! ჩემს ცხოვრებაში ჩაცმა-დახურვით არავინ დამიფასებია. თუ უხულიგნია ვინმეს, მაშინ კი გამიკრავს კბილი. „აი, ნამდვილი ბუსუნსულა,“ – მოუწონა ბუსომ. ავგუსტინა გაიბადრა და გრძელი ყურები მხრებზე შემოიგდო მოსასხამივით.



– ახლა, როცა უკვე ვიცით, რა არის „დისკრიმინაცია“, – განაგრძო ბუსომ, – ხომ ავუხსნით ბავშვებს, რომ არავის არა აქვს უფლება მათი დახარისხებისა რაიმე ნიშნით – კანის ფერი იქნება ეს, ჩაცმა-დახურვა, ენა, რჯული, შეძლება, – რამდენი რამის მიხედვით ასხვავებენ ადამიანები ერთმანეთს... – ბუსოს, ცოტა არ იყოს, თვალები დაუნაღვლიანდა, – ისე ჩვენც არ ვიქცევით ზოგჯერ მაინცდამაინც მოსაწონად... მე ასე ვიზამდი, – განაგრძო ბუსომ, – იმ „კონვენციაში“ ნათქვამი რომაა, – „ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის ინტერესებიო“, – იქვე დავუმატებდი, რომ ყველა ოჯახში, სადაც ბავშვი ჰყავთ, უნდა ჰყავდეთ აგრეთვე ერთი წესიერი, ჭკვიანი და დამჯერი ძაღლი, რომელიც ბავშვს კარგ მაგალითსაც მისცემს, კიდეც მოუვლის და კიდეც უდარაჯებს.

– კატებმა რა დავაშავეთ?! ახლა არ ამბობდი, დისკრიმინაცია დაუშვებელიაო, – აღელდა აგნესა.

ბუსო, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ მალევე მიხვდა, – ჯობდა აგნესა დაეშოშმინებინა.

– კატებიც, ცხადია, ჩემო აგნესა. კატა და ძაღლი რამ გაყო? ხომ იცი, როგორაა: „ვახსენებთ ძაღლს, – ვგულისხმობთ კატას“ და პირიქით!

დაეჭვებულმა აგნესამ ახედა ბუსოს, მაგრამ კამათში აღარ შეჰყვა. სამაგიეროდ, ბუსომ ახალი ენერგიით განაგრძო თავისი „მოხსენება“: მე რომ „გაეროში“ ვმოღვაწეობდი (ამ სიტყვებს ბუსუნსულების ერთობლივი ამოოხვრა მოჰყვა), სულ პირზე ეკერათ: „სახელმწიფო ყველა შესაძლო ზომას მიიღებს ბავშვის უფლებების განხორციელებისთვისო“. – კი, მარა, ოჯახი არა აქვთ ამ შენს ბავშვებს? – ჩაეკითხა ბუსოს იხვი ჭიჭიკო.

– რაო, ჭიჭიკო, ოჯახურ სუფრაზე მოხვედრა ხომ არ მოგენატრა, – იხუმრა ლენჩომ. წამით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობა, ვირი ისეთ თემას შეეხო, რომლის ხსენებაც ბუსუნსულების დაუწერელი კანონის თანახმად, აკრძალული იყო. ლენჩომ ენაზე იკბინა, ჩაჩუმდა და კვლავ ყურები ჩამოყარა.

უხერხული მდგომარეობა ისევ ბუსომ განმუხტა: – სწორედ ოჯახებზე მინდა ახლა გითხრათ. ბავშვი ოჯახში რომ უნდა გაიზარდოს, თქვენც იცით და მეც; იმ ოჯახს თავისი ადათი და წესი რომა აქვს, იმასაც უნდა პატივისცემა. ყველა უწევს ამას ანგარიშს, იმ შენი სახელმწიფოს ჩათვლით. ოღონდ ახლა, თუ ოჯახში ისეთი უკულმართი წესია, რომ ბავშვის







ჯანმრთელობას ავნებს ან სულიერად დააზიანებს, მაშინ ჩვენი ამბავი ჩვენ ვიცით და, სახელმწიფო თუ სახელმწიფოა, კი უნდა უპატრონოს ასეთ ბავშვს. მშობელი იმისია, რომ გაზარდოს ბავშვი და მოუაროს. აბა თუ აწამებს და აშიმშილებს – რაის მშობელია?!

ძაღლი ვარ და, სამი წლის წინ ვინმეს ფეხი რომ წამოურტყამს უსამართლოდ, ის მახსოვს და საწყალ ბავშვს თავში რომ უბრახუნებ, გინდ მიზეზით და გინდ უმიზეზოდ, – ძაან არგებს?!

– შენნაირ ნაგაზს ვინ უბედავდა ფეხის წამორტყმას, ბუსო ბატონო?! – წაელაქუცა ბუსოს ავგუსტინა.

– დაბმული ვიყავი და თან ალიკაპი მეკეთა, თორემ ვანახვებდი, როგორ უნდა ფეხის წამორტყმა, – თვითკმაყოფილმა ჩაილაპარაკა ბუსომ.

– შეიძლება არც არაფერი დაგარტყან თავში და ისე მოგაყენონ წყენა, – ჩაერია ლაპარაკში ირემი ინგიშტერი. მეტიჩარა მეტყევემ ინგიშტერი რომ დამარქვა, – „ჩემს საყვარელ თანაკურსელს ერქვაო," – რა, ძაან პატივი მცა?! მყვირალობისას რომ დავჭრილვარ, ის რა ხანია შემიხორცდა, აღარც მახსოვს, ეს სახელი კი შემრჩა...

– კაი რა, ინგიშტერ, შენ ხმა არა გაქვს ამოსაღები, – ასლუკუნდა ვირი, – შენ ნახე, მე როგორ მომმართავენ – „ვირooo!", „ლენჩooo!" – კარგი, ვირი ვარ, ლენჩი რატომა ვარ?!

– დაგარქვეს და...

– ჰოდა, არავის უნდა ჰქონდეს უფლება, ვინმე სხვას, გინდაც შენი შვილი იყოს, შეურაცხმყოფელი სახელი დაარქვას. ჩემხელა ტვირთს რომ მიუტან სახლში, მაშინ კი დაითაფლებიან, ნუ გეშინია: „– ოო, რა მშრომელი ვირუკელაა, რა სევდიანი თვალები აქვს..." – რატომ უნდა მქონდეს მხიარული თვალები, მართლა ვირივით თუ მამუშავებენ მთელი დღე და სახრესაც უმიზეზოდ გადამკრავენ ხოლმე?!

– თქვენ ბავშვების დასაცავად შეიყარეთ აქ, თუ გულის მოსაოხებლად, – გაიკვირვა ყარყატმა წიწოლამ, – რა ამბავია ამდენი ვაი და ვიში?! თქვენი შემხედვარე, მალე შურთხიაც აიფხორება. რა მოხდა ისეთი?! მურთხია ხომ არ დაურქმევიათ?!





– რომ დაერქმიათ? რითია მურთხია ლენჩოზე და ინგიშტერზე უკეთესი?! – ჩაერია ტურა. მე შენ გეტყვი „იუნისეფის“ კონვენციას აუფრიალებდა ცხვირწინ და იმწამს გადაარქმევდნენ...

– მოვრჩეთ ახლა ამ სახელებზე კამათს, – როგორც იქნა, გამოფხიზლდა ბუსო, – ისე, კიდევ კარგი, კოშმარინა მარტო შენ გქვია, ტურავ ჩემო. ახლა თუ დაარქმევს ვინმე შენი ხათრით ახალდაბადებულს ამ იშვიათ სახელს, არ ვიცი...

– ვერ დაარქმევს, შენ თვითონ არა თქვი, „კონვენცია“ უკრძალავსო. – ჰოდა, მით უკეთესი, გვეყოლება ერთადერთი კოშმარინა, ერთადერთი და განუმეორებელი... – დაამშვიდა პაკომ.

– „დაცინვას ტურა არ მოუკლავს“, – გაგიგია ასეთი ანდაზა?

– კი, რაღაც მსგავსი გამიგია...

– ტურა, ტურა, ხომ ვიცხოვრებთ ძმურად?! – წამოიწყო იხვმა ჭიჭიკომ.

– აუჰ, ეს ეხლა ისევ ლექსად გაიკრიფა და დავიღუპეთ, – ამოიოხრა



ზიგლინდამ, – რატომაა ასე გაჩუმებული ჭკვიანი გოჭი სოკრატი? რა ეტყობა ამ იხვს პოეტური ნიჭის?

პატარა, ვარდისფერი, ჭკვიანი გოჭი სოკრატი ხმას მაინც არ იღებდა და ყურადღებით უსმენდა ყურს უფროსების ლაპარაკს.

ჭიჭიკო პოეზიის ეშხში შევიდა:

იცი, შენზე ბუსუკა,

რას ამბობენ ზურგს უკან?

ბუსომ ორი თეთრი ღოჯი გამოაჩინა: „სულაც არ მაინტერესებს, რას ამბობენ ჩემზე ზურგსუკან“. თუთიყუშმა წინდახედულად გადაინაცვლა მაღლა ტოტზე და იქიდან წამოიყრანტალა: „მე კი ვიცი, – „დვარნიაჟკააო“, უჯიშოაო, მარტო მამა ჰყავდა ნაგაზიო“.

– გაჩვენებ მე შენ „დვარნიაჟკას“, პაკო, თუ მოგწვდი მაგ ტოტზე!

– აკი ყველა თანასწორია და დისკრიმინაცია არ არსებობსო?! – არ ისვენებდა პაკო.



ბუსო ისევ დაიბნა, მაგრამ გამოსავალი მალევე ნახა: „დვარნიაჟკა“ ნიშნავს „უჯიშოს“, ხომ? ახლა, მე თუ ვიტყვი, რომ ჯიშიანი ვარ, ამით რა, რომელიმე „დვარნიაჟკას“ ვჩაგრავ? უმიზეზოდ რომ

ვეძგერო საჩხუბრად, მაშინ გამკიცხე, რამდენიც გინდა, მაგრამ ახლა რას ვაკეთებ ისეთს, ბუსუნსულებს რომ არ ეკადრებათ?“

თუთიყუშიც აღარ ჩაეძია ბუსოს წარმომავლობის რკვევას და ბუსუნსულებში კვლავ მშვიდობისმოყვარე განწყობილებამ დაისადგურა.

ის-ის იყო, ბუსო „კონვენციის“ მორიგი მუხლის განმარტებას აპირებდა, ჭიჭიკო კვლავ ლექსად გაიკრიფა:

იმდენს იზამ, ბუსო,
შეგვიღონებ გულსო...

სხვებიც აყაყანდნენ – შესვენება გამოვაცხადოთო. ბუსოც დაიყოლიეს და ახლა ავგუსტინას მიადგნენ – შენ რომ იცი ისტორიები ძაღლებზე, ის მოგვიყევიო. ავგუსტა ერთი პირობა კი გაიპრანჭა, – აღარ მახსოვსო, მაგრამ ვეღარ გაუძალიანდა ბუსუნსულების საერთო თხოვნას და ბოლოს დათანხმდა, კარგი, ერთ ამბავს მოგიყვებით და მეტი აღარ მთხოვოთო: „ჩვენს ეზოში ერთი შეძლებული ოჯახი ცხოვრობდა – დედა, მამა, ვაჟიშვილი ლექსო და ძაღლი – „ბალონკა“, სახელად ჯილდა. ამ ჯილდას გამო ჩაიხარშა მთელი ამბავი. ბედი არ გინდა?! ლექსო კლასში ერთ გოგოს ემეგობრება: მოსწონს, ჩუქნის რაღაც-რაღაცებს – რად გინდა?! – შენთან როგორ ვიმეგობრებ, ჩემი სახელი ჰქვია შენს ძაღლს და ვერ გადაგირქმევიაო! – გაიგიჟა იმან თავი. მოდის ეს ლექსო სახლში ნერვებაშლილი, ხან



მატილდას ეძახის ამ ძაღლს, ხან – გრიზელდას. შენც არ მომიკვდე, ის ყურს არ იბერტყავს. დაუძახებს – „ჯილდაო!“ და ისიც იმ წამსვე დაუსკუპდება ცხვირწინ, ეშმაკურად იყურება იმ თავისი „ჩოლკის“ ქვემოდან და ენას უყოფს. მოკლედ, ამ ლექსომ, არც აცივა, არც აცხელა და ერთ მშვენიერ დღეს შეაჭრა ის ნაქები „ჩოლკა“ ჩვენს ჯილდას. თუ გგონიათ, იმან ხმა ამოიღო. ერთი დიდი მაგიდა ჰქონდათ სახლში, ფოჩებიანი სუფრით გადაფარებული.

ჰოდა, შეძვრა ჯილდა ამ მაგიდის ქვეშ და არც გამოსულა იქიდან სამი თვის განმავლობაში, სანამ ის თავისი „ჩოლკა“ არ წამოეზარდა. სტუმრებს ხომ საერთოდ არ დანახვებია. რა გინდა ახლა ქნა – პრანჭია ქალია!

პრანჭია იქით იყოს, ახლა არ გაინტერესებთ, სამაგიერო რით გადაუხადა ამ თავის ლექსოს? არ ვიცი, თავში გითხარით თუ არა, სახლში ამათთან ლაპლაპებს ყველაფერი: სკამი, დგამი, თაღი, ჭაღი... ჭიჭიკომ გააგრძელა – „ქმარი, ცოლი, პარკეტი – ბინა-სუპერმარკეტი!“ – დამამთავრებინე, ჭიჭიკო, მოყოლა და მერე, თუ გინდა, პოემები წაგვიკითხე, – შეევედრა ავგუსტა. – ისე, სხვათა შორის, „პარკეტი“ ზუსტად ახსენე. მართლაც პრიალებდა და ოჯახის ყველა წევრს თავ-თავისი ქეჩის ფლოსტები ჰქონდა. გადადგამდნენ თუ არა ნაბიჯს ზღურბლს აქეთ, წაყოფდნენ ფეხს თავიანთ ფლოსტებში. ჰოდა, ამ ჩვენმა შურისმაძიებელმა ჯილდამ, – მასე





არ უნდაო, – ასეთი გეგმა შეიმუშავა: გადამალავს ლექსოს ფლოსტებს და, სკოლიდან რომ მოდის ბავშვი ტალახიანი ფეხსაცმლით, დააბოტებს გაპრიალებულ ბინაში აქეთ-იქით თავისი ფლოსტების ძებნაში. მოდიან შინ მშობლები, ნახავენ დასვრილ იატაკს და გატყეპენ ბავშვს. ვინ დაუჯერებს ახლა, რომ ძაღლმა გადაუმალა ფლოსტები. ჰოდა, მეორდება ეს უბედურება ყოველ წვიმიან დღეს...

– „კონვენცია“ რომ კრძალავს ბავშვის ცემას? – ჩაერია ზიგლინდა.

– კი, ჩემო ზიგლინდა, მაგრამ ან ეს კონვენცია არ წაუკითხავთ ლექსოს მშობლებს, ან შეუგნებლები იყვნენ, მოკლედ, კი ტყიპავდნენ და...

– რითი დამთავრდა ეს ამბავი? – დაინტერესდა ბუსო.

– რითი და ბოლოს და ბოლოს ჩაავლეს ამ საზიზღარ ძაღლს და ახლა ის გატყიპეს.

– ძაღლის გატყეპა არაა რაიმე კონვენციით აკრძალული? – პირველად მთელი ამ ხნის განმავლობაში ამოიღო ხმა ჭკვიანმა გოჭმა სოკრატმა.

ჭკვიანი გოჭი სოკრატი

– დაგვცინი, ჩემო სოკრატ, ხომ? – მწარედ ჩაეღიმა ბუსოს,

– განვაგრძო ახლა ჩვენი „კონვენციის“ კითხვა, თუ კიდევ რამე ზღაპრების მოსმენა გსურთ?

– რიჩის გეფიცები, თუ ერთი სიტყვა მაინც მომეგონოს მთელ ამ ისტორიაში, – გაცხარდა ავგუსტინა.

– პედაგოგიურადაა გაუმართლებელი. აბა, რა მაგალითს აძლევს ეგ შენი ისტორია ან ბავშვს, ან ძაღლს?! – თქვა ბუსომ.

– რა მაგალითს აძლევს, არ ვიცი, მაგრამ ასე იყო და რა ვქნა?!

– მე თუ მკითხავ, ძალიანაც ჭკუის სასწავლებელი ამბავი იყო, – წამოყო თავი იხვმა ჭიჭიკომ, – ახლა ავგუსტას ვეღარაფერს ვათქმევინებთ და ისევ ბუსო მოგვიყვეს, რა წერია მაგის ნაქებ „კონვენციაში“.

ბუსოს თავპატიჟი არ გაუდვია, ეშმაკურად იკითხა: „დავბრუნდეთ კურკაძეების ოჯახშიო?“ ბუსუნსულებმა ერთხმად შესძახეს: „დავბრუნდეთ, დავბრუნდეთო!“.

– ცოტა-ცოტა ჭორაობა ყველას გიყვართ, ვიცი, – წაიხუმრა ბუსომ და დაუმატა, – მე რაც კურკაძეებთან იმ ორი ბღარტის დაცოლქმრებისას სიმწარე ვნახე, გახსენებაც კი არ მინდა, მაგრამ რა? დამალავ და, სხვა უარესს გააკეთებს, ასე, წვეთ-წვეთად, ეგებ შევაგნებინოთ რამე ამ ბავშვებს, და, ჩვენში რომ ვთქვათ, დიდებსაც...

– მოყევი რა, ბუსო, რა ამბავი დატრიალდა კურკაძეებთან, – არ ეშვებოდნენ ნაგაზს ცნობისმოყვარე ბუსუნსულები. – ცოდვის კითხვაა: დედა გიჟს ჰგავს, მამა ისედაც ურევს და ახლა, მოგეცა ლხენა – კი აქვს მიზეზი...





მოკლედ – საგიჟეთია: „ეს რა გვიყო, ლაფში ამოგვსვარა, ჩვენი სახელი, ოჯახის ღირსება, კურკაძეების გვარი...“ მე ხომ პირდაპირ პირველ დამნაშავედ გამომაცხადეს: „შენ რომ ნამდვილი ნაგაზი ყოფილიყავი, ის ცხვირმოუხოცელი აქ ფეხს ვერ შემოდგამდაო“ და ა.შ. არ ამომიღია ხმა, რას დაუმტკიცებ ახლა მაგათ... იმ გაპარულებზე არც კი ფიქრობენ – სად არიან, რა ელით, რას მოიმოქმედებენ?.. მეზობლები რას იტყვიან, ის აწუხებთ...

როგორც გული მიგრძნობდა, ისე მოხდა ყველაფერი: ცხრა თვის თავზე – ბავშვი, ბატკანივით გოგო; წლინახევრის თავზე – მდურვა და დაცილება; ორი წლის თავზე – კურკაძე-ტურკაძეთა სამოქალაქო ომი! დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: ბავშვი ჰყავთ ამათ, დედასთან, ცხადია, კურკაძეებთან. ტურკაძეებს არ ანახვებენ: მაგ „ქუჩის ბიჭს“ ცუდი ზეგავლენა ექნებაო. მოიპარავენ ისინი შვილიშვილს საბავშვო ბაღიდან – დაადგება თავზე ეს ჩემი პატრონი პოლიციის თანხლებით, წამოიყვანენ ბავშვს უკანვე. არის ერთი წეწვა და გლეჯა. ამ ბავშვის გულში რა ხდება, არავის აინტერესებს. შემდგომ ამბებს, უკვე „გაეროში“ რომ ვმუშაობდი, ყურმოკვრით ვიგებდი ჩვენი ეზოს ძაღლებისგან: მოაწყვეს ეგ შენი სიძე – ტურკაძე მშობლებმა უცხოეთის რომელიღაც კოლეჯში. ის იქიდან აგიჟებს ამ თავის ცოლ-ყოფილს, ფოტოებს უგზავნის – აი, ჩემი აგარაკი, აი ჩემი მანქანა, აი, ჩემი მეგობრებიო... მოკლედ, ხომ დაისაჯეო!... ქალი რის ქალია?! – ჩავალ

და, მტრის ჯინაზე, შევურიგდებიო! მშობლები არ უშვებენ – თან უკვე უფლებაც არა აქვთ, – ამასობაში სრულწლოვანი გახდა... მოკლედ, ამ ჩვენმა სალომემ, დაჰკრა ფეხი და გავარდა უცხოეთში. შეატოვა ბავშვი მშობლებს. „აღარც გაბედო უკან ჩამოსვლაო!“ – შეუთვალეს. „უფროსი“ ბავშვები ცოტა ხნით, ეტყობა, მართლაც შერიგდნენ. რას აკეთებენ ამ უცხოეთში, არავინ იცის. რამდენიმე წელი იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა... შარშან ჩამოდის ეს ჩვენი, ახლა უკვე სხვაზე გათხოვილი სალომე. თურმე მალულად პატარის გაყვანა უნდა საზღვარგარეთ. ამ ბავშვს რა უნდა, ისევ არავინ ეკითხება. ბებია და ბაბუა ეუბნებიან – ჩვენ ვართ შენი მშობლებიო. ეს სალომე ჩუმ-ჩუმად გადანახულ ფოტოებს ანახვებს: „მე ვარ დედაშენიო, მამა ბუამ შეჭამაო“... ამ საწყალმა პატარამ წერა ისწავლა თუ არა, თურმე რაღაც დღიურებს წერს თავისთვის, ჰგონია, არავინ წაიკითხავს. შენც არ მომიკვდე, ყველაფერს ბაბუა და ბებია უსინჯავენ: რამე წერილი ხომ არ მიიღო, დღიურში რა უწერია, ჯიბეში რა უდევს... აგნესა, შენს პატრონებთან ერთად სერიალებს რომ უყურებ ტელევიზორით, ამისთანას ვერ ნახავ: ამას წინათ ტურკაძეებს გამოუხმიათ სკოლიდან ბავშვი, მოუნათლავთ და სახელი გადაურქმევიათ. თან თურმე ყველას ეუბნებიან: „უკვე დაემჩნა კურკაძეების ცუდი ზეგავლენა და დროზე უნდა ვუშველოთო“. სკოლაში არ უშვებენ, ხატვის წრე ჰქონიათ ბავშვებს, – არც

იქ; ამ ბავშვის კანონიერი მეურვეები ჩვენ ვართო, – და არ იკარებენ არავის. ძალად მეურვეობა არ გამიგია მე.

– მე მგონი, ჩვენს სასამართლოში იყო მაგ საქმე განსახილველად, – წაიწრიპინა თაგვმა ამბაკომ. – ისე კი, არ მახსოვს, რით დამთავრდა. ბოლო გვერდი ჩემამდე დაუღრღნია ვიღაცას.

– მიანდე ახლა ამათ სასამართლო არქივი, – ჩაილაპარაკა ყარყატმა წიწოლამ, – ამ ქაღალდს მაინც რა გაჭმევს, ამბაკო, არ გადამრიო, ამდენი ჭიაღუაა გარშემო, ბაყაყი, ხოჭო...

– სხვათა შორის, ამბაკო წიგნების მოყვარულია, – გამოესარჩლა მეუღლეს ლამზირა, – ჩვენხელა ბიბლიოთეკა არავის აქვს ბუსუნსულეთში. ეს თქვენი პატივცემული აგნესა სერიალებს რომ უყურებდა, ჩვენ ტომეულებს ვკითხულობდით.

– ერთი ბუსუნსულებში არ ირიცხებოდეთ, მე კი ვიცი, რას ვიზამდი სერიალების ყურების მაგივრად, – ჩაილაპარაკა აგნესამ და ტუჩებზე მოისო ვარდისფერი ენა...

– არავითარი კონფლიქტები, – ჩაერია ბუსო, – თქვენღა მაკლიხართ,



ვერ ხედავთ, რა საგიჟეთია გარშემო. ჩვენ იქით უნდა მივცეთ სხვებს მეგობრული თანაცხოვრების მაგალითი.

ლამზირა თავისას არ იშლიდა: „რა არის ცუდი სერიალების ყურებაში, გონებრივი მონაცემები თუ არა გაქვს წიგნების საკითხავად, უყურე ამ სერიალებს და იყავი...“

– მე შენ გაჩვენებ გონებრივ მონაცემებსო! – გამოსცრა გაცეცხლებულმა აგნესამ და დააცხრა ცოლ-ქმარს. ატყდა ერთი ვაი და ვიში. ვინ ვის აშველებდა და ვინ ვის ეჩხუბებოდა, ვერ გაიგებდი. ყველაზე უფრო საცოდავად ჭკვიანი გოჭი სოკრატი ჭყვიტინებდა. ის-ის იყო, ბუსომ ქეჩოშიჩავლებული აგნესა გამოათრია საერთო ზედახორიდან, რომ ჭყვიტინი შეწყდა და გოჭმა ფეხები გაფშიკა.

– ვაიმეეე! – ისტერიულად წამოიკივლა შურთხიამ. ყვავების ტრიომაც არ დააყოვნა და თაკო-მაკო-ლელაკოს ჩხავილმა ერთიანად გააყრუა იქაურობა. იხვი ჭიჭიკო მიუახლოვდა ფეხებგაფშეკილ გოჭს, მზერა ცას მიაპყრო და მორიგი „შედევრი“ წარმოთქვა:

ო, რა უდროოდ დაიღუპა გოჭი სოკრატი,

– პირი ქებული და ნამდვილი არისტოკრატი.

ბუსომ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გაუნძრეველ გოჭს აკვირდებოდა, გახარებულმა წამოიძახა, – ცოცხალია, ცოცხალი, ეტყობა, გული წაუვიდა შიშისაგან, გაკაწრულია ცოტათი. აგნესამ თუ მოსდო კლანჭი შემთხვევითო. ყარყატმა წიწოლამ სიმღერა წამოიწყო: „ცოცხალი ვარ,





ცოცხალი...“, მაგრამ არავინ აჰყვა და მალევე ჩაჩუმდა. ამასობაში გოჭმა თვალები დაჭყიტა და, დაჭყიტა თუ არა, გულისწამღები ჭყვიტინი მორთო: „– ვაიმე დედაააა, ვაიმეეე... ვინ გამჩხაპნააა, ჩემი ვარდისფერი კანიიი...“ ბუსუნსულები გაოგნებულები უყურებდნენ ჭკვიანი გოჭი სოკრატის ასეთ ფერისცვალებას. „ეტყობა, არ უნდა გაგვეკაწრა“, – ჩაილაპარაკა სიტყვაძუნწმა ირემმა ინგიშტერმა, რომელიც თავს ადგა სასოწარკვეთილ გოჭს. გოჭი სულ მთლად გაგიჟდა: „რქები მომაშორე, რქებიი! ბუსომ ამილოკოს ჭრილობაა! ინფექცია არ შემივიდეეს, დებილი ირემი არ დამანახოოთ, კატა ამორიცხეთ ბუსუნსულების რიგებიდაან...“

კარგა ხანს მოუნდნენ ბუსუნსულები ჭკვიანი გოჭის დამშვიდებას... განსაკუთრებულ გულმოდგინებას უმიზეზოდ გალანძღული ინგიშტერი

იჩენდა: „ჯერ პატარაა, ცოდვააო...“ დარცხვენილი აგნესა მოშორებით იდგა და აბურძგნულ ბეწვს ივარცხნიდა. სხვებიც ნელ-ნელა დაშოშმინდნენ.

ჭიჭიკომ დრო იხელთა და ისევ ბუსუნსულების შუაგულში ჩადგა – ყურადღების ცენტრში თუ არ იყო, ვერ ითმენდა: „კიდევ ერთი ლექსი მაქვს მაგის თაობაზეო, – წამოიწყო – „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს...“. აქ კი უკვე ავგუსტინას უმტყუნა ნერვებმა: „შენ ვის აშაყირებო?!“ – ბუსო ბატონო, სხვის ლექსებს თავისად ასაღებს, მართლა ლენჩები ვგონივართო, – თუხთუხებდა ავგუსტა, – ნაკითხი თაგვები და პოეზიის შემფასებელი გოჭი რატომ დუმანო?! ბუსომ – „ხდება ხოლმეო!...“

თაგვების აცახცახებული წყვილი კი ერთმანეთს მიჰკვროდა და ელდანაცემებს, სიკვდილსგადარჩენილებს, საერთოდ არ ესმოდათ, რა ხდებოდა გარშემო. ჭკვიანი გოჭი სოკრატიც მხოლოდ იმ თავის განაჩხაპნს მისჩერებოდა და ბუსოს, რომელიც ერთგულად ულოკავდა „იარას“, წამდაუწუმ ეკითხებოდა – „ენა სტერილური ხომ გაქვსო? ინფექცია ხომ



არ შემივა ჭრილობაშიო, „შრამი“ ხომ არ დამემჩნევაო?“ ბუსო ამშვიდებდა: „ვაჟაი ნაიარევი სჯობიაო!“, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს ფოლკლორული შეგონებანი დიდს ვერაფერს შველიდნენ სასოწარკვეთილ გოჭს.

საღ-სალამათი, მჭყივანა გოჭის შემყურე ბუსუნსულების თავყრილობა, გაბუტული კატის, თაგვების დაზაფრული წყვილისა და გულჩვილი ირმის გარდა, ერთობ გამხიარულდა: „ჭკვიანი გოჭი სოკრატი არც ისე ჭკვიანი ყოფილაო“ – ხითხითებდნენ ჩუმ-ჩუმად. ბოლოს, როცა ჭკვიანი გოჭი სოკრატიც მეტ-ნაკლებად დამშვიდდა და ბუსუნსულებში „სამოქალაქო ომის“ განახლების საშიშროებამაც ჩაიარა, ბუსომ კვლავ შეახსენა მეგობრებს მათი თავშეყრის მიზანი.

ყარყატი წინოლა ბუსოს ჩაეკითხა: – ბუსო, ამ გახსენებაზე, ბურკაძეების ისტორიას რომ მოგვიყევი, შენი მოგონილია თუ მართალიაო? ბუსო ლამის გადაირია, – „ამას როგორ მკადრებო?! – ეგ ამბავი ჩვენს უბანში ყველა ძაღლმა და მამაძაღლმა იცისო. ბუსუნსულებში საერთოდ არ მოდის ტყუილის თქმა და მარტო თაკო-მაკო-ლელაკო კადრულობენ ამას ხანდახანო“. ნეტა არ ეთქვა!

ისეთი ჩხავილი ატყდა, გეგონებოდათ, ქვეყანა დაიქცაო. ამ დროს – რა? სულ სამი ყვავი ჩხაოდა. ოღონდ, ადრე თუ შეხმატკბილებულები იყვნენ, ახლა ცალ-ცალკე ჩხაოდნენ. ცალკეული სიტყვების გარჩევა ასე თუ ისე შეიძლებოდა: „პროვოკაცია“, „დისკრიმინაცია“, „დისკრედიტაცია“ და „რეპუტაცია“. იხვი ჭიჭიკო პირდაფჩენილი შეჰყურებდა ყვავების ტრიოს და თავისთვის იმეორებდა: „ვა, რა განათლებული ყვავები ყოფილანო“. მერე გულმა ისევ პოეზიისაკენ გაუწია და ახალი ექსპრომტით გამოეხმაურა ამ პატარა გაუგებრობას:

რა არის ეს, ბუსო?!
ყვავებს უკლავ გულსო.

ბუსო მიხვდა, რომ ყვავებთან უტაქტოდ მოიქცა და შეცდომის გამოსასწორებლად პატარა ეშმაკობას მიმართა: „რა შუაში არიან თაკო-მაკო-ლელაკო. მაგათი სახელები შემთხვევით წამომცდა, სინამდვილეში კაჭკაჭ ინგას ვგულისხმობდიო“. გულში გაიფიქრა, „ამ ინგას რომ შევხვდები, მერე მოვიგონებ რამეს თავის გასამართლებელსო“. ყვავთა ტრიომ უმალ

შეწყვიტა ჩხავილი და, ვითომ არც არაფერი მომხდარაო, გვერდიგვერდ-მიკრული გაშეშდა ტოტზე.

ბუსომ მომენტით ისარგებლა და საზოგადოებას მიმართა: „რაიმე კითხვები ხომ არ გექნებათო?“ ამჯერად ყველაზე აქტიური შურთხია აღმოჩნდა. ისევ ბურკაძეების ისტორიას უტრიალებდა: „ვთქვათ და საერთოდ არ ჰყოლოდა ამ ბავშვს მეურვეები, მაშინ რა მოხდებოდაო?“. ბუსომ დალაგებით აუხსნა, რომ ასეთ შემთხვევაში ბავშვის მზრუნველობას სახელმწიფო კისრულობს ან, შესაძლოა, ვინმემ იშვილოს კიდეცო.

შურთხიამ ვიშვიში ატეხა: „რატომ არ გაუხმა ფეხი იმ სალომეს, უცხოეთში რომ წაეთრია და ეს ანგელოზივით ბავშვი დატოვაო...“. ბუსო აშოშმინებდა: „კარგი, ახლა, შურთხია, ნუ გადაირიე, უარესიც ხდებაო“. შურთხია მთლად გაგიჟდა: „უარესი რაღა უნდა მოხდესო?!“. – რაო და, – ახლად დაბადებული ბავშვიც მიუგდია დედას და არასრულფასოვანზედაც უთქვია უარიო, – ამოიოხრა ბუსომ, – მე რომ „კონვენციაზე“ გიყვებით, მაგასაც ითვალისწინებს, რომ, უპატრონო თუა ბავშვი, ან ლტოლვილი, ან რაიმე ხინჯის გამო განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას საჭიროებს და ამ დროს ახლობლები არ ჩანან, მზრუნველობა სახელმწიფომ უნდა იტვირთოსო.

– მერე და, მართლა უვლის, ბუსო, სახელმწიფო ასეთ ბავშვებს? – ათრთოლებული ხმით ჩაეკითხა ბუსოს ირემი ინგიშტერი. ბუსომაც, ნირწამხ-



დარმა, რაღაც ჩაწყვეტილი ხმით უპასუხა: „სახელმწიფოს გააჩნია, ჩემო ინგიშტერ. აწყობილი, მდიდარი და ნორმალური სახელმწიფო უპატრონო ბავშვსაც ნორმალურ პირობებში აცხოვრებს, თუმცაღა დედ-მამის მაგივრობას მაინც ვერ გაუწევს; წელშიგაუმართავ და ღარიბ სახელმწიფოში კი, მოგეხსენება, დიდიც დამშეულია და ბავშვიც“.

– ისე, მაინც, თუნდაც ღარიბი სახელმწიფო იყოს, რაღაც ვალდებულებას რომ აიღებს თავის თავზე, უკვე კარგიაო, – დაასკვნა თაგვმა ამბაკომ.

– შენ უკეთ მოგეხსენებაო, – ამოიხვნეშა ბუსომ. – ერთი კია, ამ ბავშვებს რომ მიუგდებენ, ზოგი სახელმწიფოს და ზოგიც – უცნობ ოჯახს, უკანასკნელი ძაღლი ვიყო, თუ ჩემიანებში ასეთი რამე გამეგოსო...

– მერე ამ უპატრონო ბავშვებიდან რამდენი გზასაცდენილი გამოვაო, – ისევ დაიწყო ვიშვიში შურთხიამ. ზიგლინდა, როგორც გამოცდილი პირი, შეეპასუხა: „მარტო უპატრონობით რომ იყვნენ ბავშვები გზასაცდენილნი, მაგას კიდევ ეშველებოდა რამე. აი, ვისაც პატრონი ჰყავს, უმსგავსობას სჩადის, ის პატრონი კი მუდამ ხელს აფარებს, – ეს კიდევ უფრო საშიშიაო“.

– მაგ გახსენებაზე, ბუსო, ბავშვმა რაღაც თუ დააშავა სერიოზული, როგორ ისჯებიო, – დაინტერესდა შიმპან-ზუკო. ბუსომ, – ეგ ჩემზე უკეთ ამბაკოს ეცოდინებაო.

ამბაკომ ორი პატარა, გიშრისმაგვარი თვალი გააპარა აგნესასაკენ, – ახლოს ხომ არ ზისო, – და ულვაშების ცმაცუნით, მარცვალ-მარცვალ, ამოღერღა ყველაფერი, რაც კი იცოდა ამ საკითხის გარშემო: „ბავშვს, რომელმაც კანონი დაარღვია, – დაიწყო მან წრიპინა ხმით, – უფლება აქვს მოექცნენ იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს მისი ღირსების გრძნობის გაძლიერებას, გათვალისწინებული იქნეს ბავშვის ასაკი და მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება მიმართული იყოს საზოგადოებაში მისი ინტეგრირებისაკენ. ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს მთელი რიგი გარანტიებით, ასევე სამართლებრივი და სხვა სახის დახმარებით დაცვის დროს. არასრულწლოვანებთან მიმართებაში შეძლებისამებრ თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო განხილვა და თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებათა განხორციელება“.

ბუსომ თვალები ჭყიტა, – საიდან ამოიკითხე ეს ყველაფერიო? ახლა

ამბაკოს ჯერი მიდგა განცვიფრებულიყო: – „არ გადამრიო, ბუსო, შენ თვითონ არ მათხოვე ის შენი „კონვენცია“, იურისტი თაგვი ხარ, წაიკითხე, შეისწავლე, მაგრამ, გაფიცებ, კბილი არ შეახოო!..“

ბუსოს, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი გულმავიწყობისა. თან ისიც იფიქრა – ამგვარ გულმავიწყობას ამბაკო უთუოდ უპატივცემულობაში ჩამომართმევსო და ხაზგასმული მოწიწებით გადაუხადა მადლობა ისედაც ტრავმირებულ „იურისტს“.

ჭიჭიკომ, თითქოს ბუსოს გულში იჯდაო, წამსვე საქებარი ოდა უძღვნა იურისპრუდენციაში გაწაფულ თაგვს:

ასეთი პიროვნებებით
ბუსუნსულეთი ამაყობს,
ტან-მცირევ, გულით დევგმირო,
ვეფხვო და ლომო ამბაკო!

ამბაკომ შეიფერა ეს ქება-დიდება და იქვე ჩაცუცქულ ლამზირას ამაყად გადახედა – აი, რამხელა პიროვნების ცოლი ხარო! პაკომ ჩუმად, თავისთვის, ჭიჭიკოს სახოტბო ლექსის დასასრულს მიურითმა: „ტვინი წაიღო ამან ხომ...“, მაგრამ ხმამაღლა კი სულ სხვა ტექსტი წარმოთქვა: „ასეთ მშვე-



ნიერ ლექსებს რომ წერს ჩვენი ჭიჭიკო, ვუშუამდგომლოთ ახლა ყველამ და, ბუსუნსულეთის წამყვანი პოეტების სია რომ აქვს შედგენილი ჭკვიან გოჭ სოკრატის (“სოკრატის“ კი არა, „სოკრატს“, – გაუსწორა ბუსომ), გადაანაცვლოს მესამე ადგილიდან პირველზეო“.

ჭიჭიკო გაიბადრა, სოკრატი კი დიპლომატიურად ხმას არ იღებდა და ბუსოს სეფე-სიტყვას ელოდა. ბუსომ, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვა: „სოკრატ, არ გამაგიჟო, მართლა ნომრავ პოეტებს, თუ გიგონებენო?“

– მართლა ნომრავს, ბუსო ბატონო, – აყაყანდა შურთხია, – შენ წესიერად არ მესალმებიო, – და მეხუთედან მეცამეტე ადგილზე გადამიყვანა!

– კარგი, შურთხია, რა მოხდა ასეთი, – დააწყნარა ბუსომ ინდაური, – მაგასთან სახლში გოჭებს რომ ნომრავდნენ, ის ახსოვს და ... საერთოში ხომ არაა ცუდი გოჭი?..

– „საერთოში“ რაა და „გაეროში“, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ კი მოგვსპო ამ თავისი ქულების წერით და... – არ ცხრებოდა შურთხია.

– გადამრევს ეს ინდაური, – გაცხარდა ბუსო, – შენც ნუ უყურებ მაგის ქულებს და წერე ის შენი ლექსები. აგერ, ხომ ხედავ, ჭიჭიკო საათში ხუთ ლექსს წერს.

– ჭიჭიკო სწორედ მაგის გატუტუცებულია, – ჩაერია კატა აგნესა, – „ბუსუნსულეთის ამომავალი მზეო!..“ – უჭყიპინებს ყურში და აქეზებს, – „ერთი პოემა შენზეაო!“

– რა გინდა, ნეკროლოგი ხომ დაუწერა, – წაიხუმრა პაკომ.

ჭკვიან გოჭ სოკრატს ფერფური მისდიოდა – ხან წითლდებოდა, ხან ფითრდებოდა და მთლად თეთრი იყო, ხან ისევ ვარდისფერი ხდებოდა.

– კარგი ახლა გოჭი, დაიბრუნე ვარდისფერი პერიოდი და დამშვიდდი, – დაუყვავა ბუსომ. გოჭმა გამომცდელად ახედა, ხომ არ მაშაყირებსო? მაგრამ ბუსოს მიამიტმა გამოხედვამ დაამშვიდა.

ჭიჭიკო საერთოდ არ ჩარეულა ამ დისკუსიაში, – თითქოს მას არც ეხებოდა არაფერი. ბოლოს, წინ წარდგა და წარმოთქვა:

პოეზიის ნარ-ეკლიან გზაზე
ლაღი ფრთები შურით შეგვიბოჭეს...
წავალთ! აწი ვერც იხვს ნახავთ ასეთს
და ვერც ლექსის დამფასებელ გოჭებს!



– ეჰე, ამათ ხუმრობა ისევ ბუტიაობაში გადაჰყავთო, – გაიფიქრა ბუსომ და სცადა მათი თავშეყრის მიზეზს მიბრუნებოდა: „ბავშვების დაცვა ნუ დაგვავიწყდებაო!“.

საერთო სჯა-ბაასის განახლება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ჭკვიანი გოჭი სოკრატი კუთხეში მიმჯდარიყო, თავის ნაკაწრს ჩასცქეროდა და ხმას არ იღებდა; გაფხორილი ინდაური შურთხია ნერვიულად იწიწკნიდა ფრთებს და რაღაც გაუგებარ, უმისამართო საყვედურებს ბუტბუტებდა; ჭიჭიკო აფორიაქებული დააბოტებდა აქეთ-იქით; თაგვების წყვილიც ფიქრებით სადღაც შორს იყო წასული...

ბუსომ ნაცადი ხერხი იხმარა: „კურკაძეების სიძე რატომ დაიჭირეს უცხოეთში არ გაინტერესებთო?“ ცნობისმოყვარე ბუსუნსულებმა ყურები ცქვიტეს.

– გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, – სტიუარდესამ სიგარეტი ჩააქრობინა თვითმფრინავის სალონში და, რომ მიბრუნდა, – ამან უჩქმიტა. სად უჩქმიტა, ნუღარ დავაზუსტებთ.

– დიდი ამბავი, ის სტიუარდესა ვითომ ზედ ბუზს არ ისვამს?! – გამოცოცხლდა შურთხია.

დიდი ამბავია თუ პატარა, იმათ უთხარი. აეროპორტში პოლიცია კი დახვდა და „ვირის აბანოში“ უკრეს თავი შენს სიძე-ბატონს.

– ვის აბანოში? – ჩაეკითხა ლენჩო.

– არა, ლენჩო, შენ აქ არაფერ შუაში ხარ, – დაამშვიდა ბუსომ, – ძველი გამოთქმაა ასეთი – ციხეს ნიშნავს.

– ისე კი, ჩემო ძვირფასო, რაც უფრო აწყობილია ქვეყანა, მით უფრო დაცულია შენი ღირსება. აბა მიდი და აწამე ძაღლი ყველას თვალწინ ისეთ ქვეყანაში, სადაც კანონი კანონობს, ნახავ, სადაც გიკრავენ თავს, განაცხადა ავგუსტინამ და ისედაც ნაღვლიანი სახე კიდევ უფრო დაუნაღვლიანდა.

– ჩვენთან ვინმე ღვთისნიერი თუ დაგიცავს, თორემ ვის სცხელა შენთვის, – წაიკნავლა აგნესამ, – მე რომ კუდით დაკიდებული კატები მყავს ნანახი...

– იმ კატების ჩამომკიდებელს მიეწია მაგათი ცოდვა, – იწივლა შურთხიამ.

– შურთხია! არ უშველის შენი წივილ-კივილი მაგ საქმეს, დამიჯერე, – მიუბრუნდა ანერვიულებულ ინდაურს შიმპან-ზუკო, – ხომ ხედავ, ერთი



„კონვენცია“ ვერ ჩავიკითხეთ ბოლომდე, შენ კი გინდა, ქვეყანა ერთ დღეში შეცვალო?!

– არ შემიძლია ამ ბოროტების ყურება, არ შემიძლია!... – არ ცხრებოდა შურთხია. შიმპან-ზუკომ ახლა თავისი ზოოპარკისდროინდელი გამოცდილება მოიშველია: „არა შურთხია, მართლა ყველა ბოროტი კი არ არის. მოდიოდნენ, აინტერესებდათ, ბანანები მოჰქონდათ. ერთი-ორი თუ იკადრებდა რამეს უგვანს – ანთებულ სიგარეტს შემოაგდებდა, ვთქვათ...“

– სკოლაში რატომ არ ასწავლიან არაფრს, სკოლაში?! – სრულიად მოულოდნელად შეუერთდა შურთხიას ტურა კოშმარინა.

ბუსომ, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა, ძველებური შემართების გარეშე, დაიწყო ახსნა-განმარტება: „სკოლა, ქალბატონო კოშმარინა, სწორედ იმ ჩვენი „კონვენციის“ თანახმად, უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას იძლევა. ზოგ ქვეყანაში – საშუალო განათლებასაც, მაგრამ „სიკეთის სწავლება“ არსად, არც ერთ სკოლაში არაა შემოღებული. თავისთავად, ყველა საგანმა და ყველა მასწავლებელმა უნდა შთაუნერგოს ეს ბავშვს“.

– კაი, რა, ბუსო, ეს ყველაფერი ახლა შენ შენით მოიფიქრე თუ „კონ-



ვენციაში“ ამოიკითხეო? – ეშმაკურად ჩაეკითხა ბუსოს ზიგლინდა. ბუსომ დაიმორცხვა, თავი ჩაღუნა და ისე ამოიბუტბუტა: „კონვენციაში წერიაო“.

– რაღას გვაწვალებ, პირდაპირ წაგვიკითხე ის შენი „კონვენცია“ და უფრო ნათელი არ გახდება, რას და როგორ ვაპირებთო, – როგორც იქნა, თავისი სიტყვა შეაწია საერთო კრებას ყარყატმა წიწოლამ.

– თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონიაო, – ბუსომ, – მაგრამ ჩემი შენიშვნები მაინც უნდა გავაკეთოო.

ახლა ამბაკოც აწრიპინდა, – ის მუხლი წაუკითხე, ბუსო ბატონო, სადაც ნათქვამია, რომ სკოლაში ბავშვების ღირსება არ უნდა შეილახოსო. „სიამოვნებითო“, – ბუსომ და გამოთქმით დაიწყო: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება“.

ამ სიტყვებზე ჭკვიანი გოჭი სოკრატი გამოცოცხლდა: „ჩვენ, ერთი ასოციაციის წევრები, არ ვუფრთხილდებით ერთმანეთის ღირსებას და კლასში ოცდაათი ბავშვი რომ აჭყიპინდება, მასწავლებელმა რაღა ქნასო?“

– ჭყიპინი, სოკრატის ჭირიმე, აქ რომ გავიგონე, ისეთი, არც ერთ სკოლაში არ გამიგონიაო, – შენიშნა კატა აგნესამ სრულიად უწყინარი კილოთი. ჭკვიანი გოჭი სოკრატი შეცბა და ისევ დადუმდა. – კარგი, რა, აგნესა, – გაწყრა ბუსო, – ძლივს ალაპარაკდა გოჭი და მყისვე ჩააჩუმე, სინდისი არ გაქვსო?..

ახლა კამათი არ წამომიწყოთ აქ ისევ, არ გადამრიოთო, – პაკომ, – ნულარ ვაწყვეტინებთ ბუსოს, მართლა საინტერესო რაღაცას გვიკითხა-







ვდა. ოღონდ, ბუსო, ერთ რამეს ვიტყვი, სანამ განაგრძობდე ამ შენი „კონ-ვენციის“ კითხვას: შიმპან-ზუკო დამეთანხმება, ზოოპარკში თითო-ოროლა ბავშვი ანთებულ სიგარეტს რომ შემოგვიგდებდა, სულ ისე მგონია, ან მშობლებისაგან იყვნენ განაწამები, ან სკოლაში ამცირებდნენ, ან კიდევ რაღაც ისეთი მიზეზით იყვნენ დათრგუნულნი, რომ ჩვენზე იყრიდნენ ჯავრს...

– რა ვიცი, შეიძლება მასეც იყოსო, – ბუსომ. – ისე, მაგ სიგარეტის გახ-სენებაზე – „შეკეთებულსაც“ ხომ არ გაწოდებდნენო?!

– „შეკეთებული“ შენ საიდანღა იციო?! – ერთდროულად განცვიფრდნენ პაკო და შიმპან-ზუკო.

– როგორ არ ვიცი, ჩემი ალალი ბიძაშვილი, ჯონი სწორედ მაგ განხრით მუშაობს, რაც მაგას ნარკოტიკებისათვის მიუგნია... ორდენი ეკუთვნი-სო, – ბუსომ. – სხვათა შორის, იმ ჩვენს „კონვენციაში“ ისიც წერია, რომ ბავშვები ყველანაირად უნდა დავიცვათ ამ უბედურებისაგანო.

– რაც მე ეგ ნაგავი ურნაში მაქვს გადაყრილი, იმდენი წელი სიცოცხლე

მეო! – წამოიჩხავლა ყვავმა ლელაკომ. ზოოპარკის მონარკომანო მნახველებისაგან მათ ჟარგონში გათვითცნობიერებულმა პაკომ: „სამასი „ჩეკი“ გადაუგდიაო!“ – ხუმრობა იქით იყოსო, – ბუსომ, – ისე კი, რომ დავფიქრდეთ, მარტო იმ ერთ ჩემს ბიძაშვილს რამდენი ადამიანი ჰყავს გადარჩენილიო.

– კი, მაგრამ, ის, ვისაც მაგ შენმა ჯონიმ ვერ უშველა და მაინც ყნოსავს ან ეწევა რაღაც უბედურებას, ან, კიდევ უარესი, იჩხირავს, იმას რაღა ეშველებაო? – ჩაეკითხა ბუსოს გულკეთილი ირემი ინგიშტერი.

– რა გინდა, ინგიშტერ, გული გაგიხეთქო?! ავადმყოფი, ჩამომხმარი უფროსის ყურებაა ძნელი და, ბავშვი რომ ცელოფანის პარკს თავზე წამოიმხობს, რაღაც შხამიან წებოს ისუნთქავს და ყოველი შეხვედრისას ხედავ – ჩლუნგდება და თვალები აღარ უციმციმებს, – როგორი საყურებელია?!

– ვერაფერს შველიან, ბუსო?!

– ერთს მშობელი უშველის, მეორეს – მეგობარი, მესამე თვითონ მიხვდება, რაც ელის და გონს მოეგება, მაგრამ ზოგი ისე ავადდება, რომ ძალიან ძნელი მოსარჩენია. მერე უკვე ისევ სახელმწიფომ უნდა იკისროს ამ ავადმყოფ ბავშვზე ზრუნვა... მარტო ასეთ ავადმყოფზე კი არა, წესით და კანონით – ყველა ავადმყოფ ბავშვს ან ისეთს, დაბადებიდან რაიმე ფიზიკური ნაკლი რომ აქვს და განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს – გარდა მშობლებისა, სახელმწიფოც უნდა ჰპატრონობდეს.

– ჩვენ, ჩვენ რა შეგვიძლია? – კვლავ არ ეშვებოდა ბუსოს გულჩვილი ირემი.

– ინგიშტერ, „ზოოთერაპია“ გაგიგია? ამ „კონვენციაში“ არ არის ნახსენები, მაგრამ „გაეროში“ რომ ვმუშაობდი, იქ ჰყვებოდნენ. იცი, ეს რა არის? როცა ცხოველი კურნავს ადამიანს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომელიმე ჩემს ნათესავ ძაღლს ბრმა რომ დაჰყავს ქუჩაში, ან პატრონის





ბიჭს გამოესარჩლება, ვინმე თუ ჩაგრავს, ან ლენჩო პატარა მეზობელს სახლში ტვირთს მიატანინებს. აი, აგნესა ავიღოთ მაგალითად: რაც ასოციაციაში შემოვიდა, მოგეხსენებათ, თაგვებს აღარ იჭერს. რაღას მიკეთებსო? ხომ იტყვის ვინმე. ამ დროს კი, იმ „ვინმეს“ გული თუ აქვს დამძიმებული, ჩაისვამს აგნესას კალთაში, ეფერება და ნელ-ნელა გადაუვლის ის ცუდი განწყობილება... გამიგე?





აგნესამ თავმდაბლად განაცხადა, – ეს მარტო მე არ მეხებაო! ზოგი ზიგლინდას ცქერით განიმუხტება, ზოგიც შენ შეგავლებს თვალს, ინგიშტერო, და მერე მთელი დღე იტრაბახებს – ირემი ვნახეო... ვის რა შველის...

– ნეტავ, ერთი ვიცოდე, თაკო-მაკო-ლელაკო ვიღას შველიანო? – ჩაილაპარაკა წიწოლამ.

ბუსო ყვავებს გამოესარჩლა: „წიწოლ! შენ რომ იცოდე, ამათ ისეთი კეთილშობილი საქმეები აქვთ გაკეთებული, აქ რომ მოვყვე, არც კი დამიჯერებთო“.

– მაინც ასეთი რა საქმეებიაო?

– მოვყვეო? – მიუბრუნდა ყვავებს ბუსო.

– რა ვიცი, თუ გინდა მოჰყევიო, – მიუგო თაკომ „სამეულის“ სახელით.

– რადგან თანხმობა მივიღე, მოვყვები, რა მოხდაო, – ბუსომ: „ამისთა-

ნა ჭო... გათვითცნობიერებული ყვავები (ბუსუნსულები მიხვდნენ, რომ „ჭორიკანაო“ – უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე იკბინა ენაზე) ცხოვრებაში არ მინახავს. გარდა ამისა, არაჩვეულებრივი გუმანი აქვთ. საკმარისია, ბავშვს რამე საფრთხე ელოდეს, ისეთ ჩხავილს ატეხენ, რომ ძალაუნებურად დააფიქრებენ კაცს: „აქ რაღაცაშია საქმეო...“

ეშმაკმა თუთიყუშმა შიმპან-ზუკოს გადაულაპარაკა: „ეს ყველაფერი ბუსომ ახლა, სახელდახელოდ მოიგონა, განაწყენებულ ყვავებს რომ ასიამოვნოსო“. შიმპან-ზუკო არ დაეთანხმა: „რა, არაფერი გაგიგია ყვავების წინათგრძნობაზეო?!“ მოკლედ, ვერ შეთანხმდნენ.

უეცრად შურთხიას წივილი გაისმა: „გოოჭიი! სად არის ჩვენი გოოჭიი! ის არ დაუბრუნდეს თავის ბუნაგს, ვინც ახლა მაგას ახრამუნეებს! ვაიმე, ჩვენი საყვარელი ჭკვიანი გოოჭიი!“ მართლაც, ბუსუნსულებმა რომ მიმოიხედეს, გოჭი არსად ჩანდა.

– აი, ახალი საფიქრალიო, – ბუსომ, მაგრამ შურთხიას წივილ-კივილს მაინც არ აჰყვა: „შურთხია, შენ რა დაამხეცე ეს წინასწარი დატირებებიო?!“ შურთხია გაკაპასებული პასუხობდა: „მხეცი შენა ხარ, მე კეთილშობილი ფრთოსანი ვარ და ჩემი გულჩვილობის გამო ვიჩაგრებიო...“ – რა უგავს ახლა ამას დაჩაგრულისო? – ჩაილაპარაკა ბუსომ, მაგრამ აღარ შეჰყვა ინდაურთან კამათს. – ისე, მართლა სადაა ახლა ეს ჩვენი ჭკვიანი გოჭიო? ჭიჭიკოს შურთხიას მხარე ეჭირა: „აქაური მგელი ასოციაციაში რომ არ შემოიყვანე, ახლა აიღებს და შეგიჭამს იმ შენს ჭკვიან გოჭსო“.

– არაო, – ბუსომ, – მაგან პლაწუნა და მუკო დაიფიცა: „ოღონდ შენ ბუსუნსულებში ჩამრიცხე და ასოციაციის წევრს როგორ შევჭამო!“

– ეს პლაწუნა და მუკო ვინღა არიანო? – დაინტერესდა ლენჩო.

– მაგი მე ვიციო, – ინგიშტერმა, – ორი ისეთი აბზარი ლეკვი ჰყავს, აკლებული აქვთ იქაურობაო.

ამასობაში ჭიჭიკო კვლავ მოსაუბრეთა შუაში გაეჩხირა და ყელი ისე მოიღერა, ცხადი იყო, ლექსის თქმა ეწადა:

ვეღარ გაუძლო გოჭის გულმა დაცინვას თქვენსას,
თვალცრემლიანმა მიაშურა მან უღრანს ტყესა,
შეაჭმევინა თავი ძალად მშიერსა მგელსა,
ვეღარ უშველის აწ მას თქვენი გლოვა და კვნესა...

შურთხია ასლუკუნდა. ბუსო, პირიქით, – ხუმრობის ხასიათზე დადგა: რა გინდა ახლა ამით თქვა, ჭიჭიკო, თავი მოვაკვლევინეთ გოჭს? ესე იგი, მიადგა მგელს ტყეში და რა უთხრა: „მიირთვი, მტარვალო, თავი ჩემი!“,

„გთხოვთ შემახრამუნოთ!“ თუ „შემჭამე, შემახრამუნე, აღარ ვუყვარვარ არვისა...“ ჰა, როგორ გგონია?

ჭიჭიკომ გმირული პოზა მიიღო – მკერდი წინ, ნიკაპი მაღლა, – და ზეაწეული ტონით განაცხადა: „დიახ! ჭვიანი გოჭი სოკრატი თქვენი მსხვერპლია, მტარვალებო!“ ბუსო ისევ მხიარულ ხასიათზე იყო: „შეაგნებინეთ ვინმემ ამ ჩვენს იხვ-პოეტს, პატარა გაკაწრულზე რომ ქვეყანა დააქცია, ის გოჭი თავს არ მოიკლავდა სულელური წყენის გამოო“.

ჭიჭიკო თავისას არ იშლიდა: „გოჭს მორალური ტრავმა მიაყენეთ და სიცოცხლე აღარ უნდაო!“ პასუხად ბუსომ სრულიად სერიოზულად განაცხადა: „პოეტებთან ლაპარაკი შეუძლებელიაო!“

სიტყვა დამთავრებული არც ჰქონდა, რომ ისევ შურთხიამ იკივლა, ოღონდ ამჯერად სიხარულით და მოულოდნელობით: „გოჭი დაგვიბრუნდაა! ცოცხალიაა! შიმპანზიკოც დაბრუნდაა!“

ლენჩომ გაიკვირვა, – შიმპან-ზუკო განა აქ არ იყოო?! – დიახაც, არ იყოო, – ბუსომ, – და, მე მგონი, ჩემ გარდა არავის შეუნიშნავს ესო. შიმპან-ზუკო განაწყენდა: „ერთადერთი დიპლომირებული ასოციაციის წევრი გყავართ და ჩემი გაუჩინარება როგორ ვერ შენიშნეთო?“ – დიპლომი რაღა







შუაშიაო? – ბუსომ, – ისე, მაინც რა დიპლომი გაქვსო? – ნახატებში მივიღეო, – განაცხადა განაწყენებულმა შიმპან-ზუკომ, – რაში გაინტერესებთ, თუკი ვერც მამჩნევთ, თქვენთან ვარ თუ არაო. – შურთხიას წივილ-კივილმა დააბნია ყველა, თორემ შენისთანა გამოჩენილი მაიმუნის გაუჩინარებას როგორ ვერ შევნიშნავდითო, – დაამშვიდა ბუსომ. – ისე, სხვათა შორის, გამოფენის ლაურეატების დიპლომები მე და ავგუსტინიასაც გვაქვს და, გარდა მაგისა, ფასიანი სასწავლებელი რომ დავამთავრე, ის თუ იციო? – ვიცი, ვიციო, – ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა მაიმუნმა და სალაპარაკო თემა შეცვალა: „თუ იცით, რატომ გავიპარეთ მე და ჭკვიანი გოჭი სოკრატიო?“

საერთო გნიასი შეწყდა და ცნობისმოყვარე ბუსუნსულები შიმპან-ზუკოსა და გოჭს მიაჩერდნენ. ჭკვიანი გოჭი გაბუსუნებული იჯდა და ხმას არ იღებდა. სამაგიეროდ, შიმპან-ზუკო გაიტლიკა: „ჭკვიანი გოჭი სოკრატი რამხელა ჭკუის პატრონი ყოფილა, ახლა დავრწმუნდიო. აგერ, ხომ ხედავთ, რამსიგრძე გრაგნილი მოვათრიე – ეს სულ გოჭის ნაკარნახევიაო. სათაური თუ გაინტერესებთ: „ბუსუნსულების ასოციაციის დეკლარაცია ბავშვების დასაცავად“. მოკლედ, აზრები – გოჭის, შესრულება – ჩემი. რითია ცუდიო?!





თუთიყუშმა პაკომ წაგვიკითხოსო, – ერთდროულად წამოიძახა რამდენიმე ბუსუნსულამ. პაკოს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, დაიწყო კითხვა, თან საკმაოდ ბოხი ხმით: „ჩვენ, ბუსუნსულების ასოციაციის ბავშვებთან თანადგომის აქციის მონაწილენი, გავეცანით რა „ბავშვის უფლებათა კონვენციას“, სავსებით ვიზიარებთ მის სულისკვეთებას და ჩვენს ბუსუნსულურ ვალად ვთვლით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ „კონვენციის“ დებულებათა განხორციელებაში“.

– მშვენიერი განცხადებაა, – საერთო აზრი გამოხატა აგნესამ, – მაგრამ, ამდენ ხანს ამ ერთ წინადადებას მოუნდითო? – რატომ, ცალკეულ მუხლებზეც გვაქვს ჩვენ-ჩვენი მინაწერები და თუ ძალიან არ დაიღალეთ, პაკო წაგიკითხავთო, – ხმა ამოიღო, როგორც იქნა, ჭკვიანმა გოჭმა სოკრატმა.

პაკომ კითხვა განაგრძო: „კონვენციის“ მე-6 მუხლი, რომლის მიხედვით „ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებლობის უფლება“, ყველა ბუსუნსულას ავალდებულებს შემდეგს: „თუკი რომელიმე ბავშვს ხიფათი ემუქრება, ბუსუნსულამ ყველაფერი უნდა იღონოს, ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად (ბავშვის ეზოდან ქუჩაში არგაშვება, წყლიდან გამოყვანა, ასანთის გადამალვა, ყეფით განგაშის ატეხა, ცეცხლის ჩაქრობა, შემცივნებული ბავშვის ჩათბობა, გზის გაგნება და სახლში მიყვანა, მოწყენილი და ნაღვლიანი ბავშვის გართობა და მასთან თამაში, უსამართლოდ დაჩაგრული ბავშვის გამოსარჩლება და ა.შ.).

კიდევ ერთი მუხლი, რომელსაც გვინდა განსაკუთრებით მიაქციოთ ყურადღება, 23-ე მუხლიაო, განაგრძო პაკომ, – ახლა წაგიკითხავთო: „... გონებრივად ან ფიზიკურად არასრულფასოვანი ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას“. – აი, ასეთი მუხლიაო. ახლა ნახეთ, როგორი მინაწერი გაუკეთა ამ მუხლს ჭკვიანმა გოჭმა სოკრატმაო: „ჩვენ, ბუსუნსულები, განსაკუთრებით ყურადღებიანნი უნდა ვიყოთ არასრულფასოვანი ბავშვების მიმართ, რადგან ჩვენსავით არავინ იცის, რა მწარედ იჩაგრები მარტო იმიტომ, რომ სხვას არ ჰგავხარ, ან საკადრისი პასუხის გაცემა არ შეგიძლია.


ბავშვს, რომელიმე კანონი ლაპარაკობია,
უფლება აქვს მოექცნენ იმგვარად,
რომ ხელი შეეხოს მისი ლირსების
გრძნობის გაძლიერებას, გათვალისწინებული
იქნეს ბავშვის ასაკი და მის მიმართ
თანხვედრილებული ნებისმიერი ქმედება
მიმართული იყოს საზოგადოებაში
მისი ინტეგრირებისკენ.

თუ ბუნებისაგან დაჩაგრულ ბავშვებს აკლიათ სათუთი და ყურადღებიანი მოპყრობა, მათთვის ვერავინ იცლის და თავს ობლად გრძნობენ, – ჩვენ უნდა ვემეგობროთ მათ, გავახალისოთ, მათი ცხოვრებით ვიცხოვროთ. მოკლედ, გავაკეთოთ ის, რასაც ასე ხშირად ვერ ახერხებენ საქმიანი, მოფუსფუსე უფროსები და, ხანდახან – თავის ჯანმრთელ თანატოლებთან თამაშით გართული ბავშვები“.

– შემდეგ მუხლზე გადადიო, – რაღაც ათრთოლებული ხმით შეეხვეწა პაკოს ირემი ინგიშტერი. ცრემლი მორეოდა და დანარჩენ ბუსუნსულებს რომ არ შეემჩნიათ, თავი დაბლა დაეხარა. რქის წვეტი, ბედად, ისევ ჭკვიან გოჭ სოკრატს მიწვდა, მაგრამ გოჭმა ამჯერად ხმა არ ამოიღო, მხოლოდ ერთხელ ახედა დაფეთებულ ირემს და გვერდზე გაჩოჩდა.





პაკო კითხვას განაგრძობდა: „ის, რაც ჩვენ უკვე განვაცხადეთ, ეხება აგრეთვე „კონვენციის“ 31-ე მუხლს, რომელიც გვამცნობს, „რომ ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება“.

– ამ დეკლარაციაზე რომ მუშაობდი, იურიდიულ კონსულტაციას ამბაკო ხომ არ გიწევდაო? – ჩაეკითხა ჭკვიან გოჭს სოკრატს ბუსო. გოჭმა უხმოდ გააქნია თავი, – არაო.

– რამხელა საცოდაობა იქნებოდა, ასეთი უჭკვიანესი გოჭი მგელს რომ შეეჭამაო, – განაცხადა ბუსომ. – ხედავთ, რა წინდახედული ძაღლი ვარ, ასოციაციაში მიღებას რომ დავპირდიო.

– მაგ პირსისხლიანის მიღება ჩვენს ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში როგორ შეიძლებაო?! – აღშფოთდა ტურა კოშმარინა. ყარყატ წიწოლას თვალები კინაღამ გადმოუცვივდა გაკვირვებისაგან, – ამას რაღა ალაპარაკებსო? – დიდი ხანია, ტურიკოს-ჭირიმე, ქათმებით პირში აღარ დასუნსულებ ტყეშიო?! კოშმარინა იფიცებოდა: „ვეგეტარიანელი გავხდი, აგერ – თაკო-მაკო-ლელაკო დამემოწმებიან, მთელი დღე თავს დამჩხავიან და თვალს არ მაცილებენ. მაგათ კი იციან, – რას ვჭამ და რას – არაო!“

თაკო-მაკო-ლელაკომ ერთხმად დაიჩხავლეს: „იმ თავის ბნელ სოროში რას ჭამს კოშმარინა, მაგას ვინ გაიგებსო?!“. ბუსომ, – დავიღუპე, კიდევ ერთი აყალმაყალი იწყება, მგონიო, – მყისვე ჭიჭიკო იხმო თავისთან და



ალბატი ინგა

რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ჭიჭიკო ისეთი დიდკაცური ბაჯბაჯით ბრუნ-დებოდა თავის ადგილზე, ემჩნეოდა, – ერთობ საპატიო დავალება მიიღო.

თაკო-მაკო-ლელაკო და კოშმარინა ზანტად ეკამათებოდნენ ერთ-მანეთს ვეგეტარიანელობის თაობაზე. კოშმარინა დაბეჯითებით მოითხ-ოვდა: „თუ არ მენდობით, ღამღამობით ჭოტი შემომიგზავნეთ სოროში შესამოწმებლადო“.

– კარგი ერთი, კოშმარინა, სად მოვნახოთ ახლა შემმოწმებელი ჭოტი, ისდაც გვჯერა შენიო, – ინგიშტერმა, – მორჩი მაგ ნერვიულობას, აგერ ჭიჭიკო გამოვიდა „სცენაზე“, კიდევ რაღაცას წაგვიკითხავსო.

ჭიჭიკომაც არ დააყოვნა:

ვინც რომ ბუსუნსულა არის,
– ძაღლი, იხვი, კუ თუ ვირი,
გულთან უნდა მიიტანოს
ყველა ბავშვის გასაჭირი.

– „ბავშვის ყველა გასაჭირი“ აჯობებდა, ალბათ, მაგრამ, იყოს, როგორც არისო... – ჩაილაპარაკა შურთხიამ. ჭიჭიკოს არ მიუგდია ყური, რიხიანად განაგრძობდა:

მოვა დრო და ბუსუნსულებს,
– იხვს, ინდაურს, ირემს, კატას –
დღევანდელი კარგი საქმე
წინ დაგვხვდება ერთი ათად!“

– შენს პირს შაქარი, რა ლექსებს წერს! – შესძახა აღტაცებულმა ლენჩომ. კოშმარინამ შიმპან-ზუკოს გადაულაპარაკა: „ლექსი როგორია არ ვიცი, მაგრამ თავისი თავი ორჯერ რომ ახსენა და ჩვენ კი – არც ერთხელ, თუ შენიშნეო? შიმპან-ზუკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

უმეტესობას მაინც არ მიუქცევია ყურადღება ასეთი დეტალისათვის და, კრების დასასრულს რომ ახასიათებს ხოლმე, ისეთი უმართავი მისვლა-მოსვლა დაიწყო.

– ესენი ვინღა არიანო?! – წამოიძახა წიწოლამ. უკვე შებინდებულიყო და ხეებს შორის ორი წყვილი ცნობისმოყვარე თვალი ანათებდა. – მოიცა, მოიცა, რაღაც მეცნობიანო, – ბუსომ, და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა დაუპატიჟებელი სტუმრებისაკენ. მერე თავისიანებს მოუბრუნდა და ამცნო: „როგორ გგონიათ, ვინ არიან ეს ჩემი ცოდვით სავსენი, – მუკოა და პლაწუნაო!.

– „შარო საიდან მოდიხარო!“ – იმწამსვე მიაყოლა ანდაზების მოყვარულმა ლენჩომ. ბუსომ დაამშვიდა: „ნუ ღელავ, ლენჩო, ამ ორ შტერს მე მივუყვან დედამისს და, თუ უნდა, იმან მიტყიპოს. ბინდდება და აბა, თქვენ იცით, დროზე დაიშალეთო“.

– „კონვენციაო“? – შეახსენა ინგიშტერმა.

ბუსოს აღარაფერი უპასუხია, შესაშინებლად ერთი კი შეუღრინა მუკოს და პლაწუნას – „მომყევითო!“ და ორი მოწკავწკავე, დამფრთხალი მგლის ლეკვის თანხლებით ტყეში გაუჩინარდა.